186
1972

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი — აგვისტო 1972 წ.

12003

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

62. ლილოს სამრეწველო რაიონის კოპლექსური განვითარებისა და მისი ადმინისტრაციული დაქვემდებარების შესახებ.
63 სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან აცილებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

64. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 11 აპრილის № 175 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სსრ ... რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1969 წლის 6 მარტის № 112 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
66. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 აგვისტოს № 496 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
69. საქართველოს სსრ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.
70. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
71. საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ობიექტების მიხედვით მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა პროექტების, სატიტულო სიების დამტკიცების წესის დადგენის შესახებ.
72. რძის შესყიდვის ფასების შესახებ.
73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ.
74. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
75. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
76. ძვირფასი ლითონების ხარჯვისა და შენახვის მოწესრიგების შესახებ.
77. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გიორგი კონსტანტინეს ძე გედევანიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.
78. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გიორგი დავითის ძე გოცირიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.
79. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში მოსავლის აღების სამუშაოებზე დასაქმებული ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და სხვა მუშაკებისათვის 1972 წელს მარცვლის მიცემის ნორმებისა და წესის შესახებ.
80. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 609 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღებული ავტომოტორანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების წესების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

83. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) მოქმედ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

84. საკონტეინერო ტვირთზიდვის განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

85. ლილოს სამრეწველო რაიონის ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ.

86. „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებთან მოსამზადებელი კლასების გახსნის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 ოქტომბრის № 630 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

87. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგება-გასაღება) დებულების დამტკიცების შესახებ.

88. ვაშლიჯვარის და მისი მომიჯნავე ტერიტორიების თბილისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

62 ლილოს სამრეწველო რაიონის კომპლექსური განვითარებისა და მისი ადმინისტრაციული დაქვემდებარების შესახებ

ლილოს სამრეწველო რაიონის განაშენიანების, მისი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის შემდგომი კომპლექსური განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების ძირეულად გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ლილოს სამრეწველო რაიონის ტერიტორიის შეტანა ქალაქ თბილისის ფარგლებში და მისი გადაცემა გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად ორი კვირის ვადაში დააზუსტონ ლილოს სამრეწველო რაიონის იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელიც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს უნდა გადაეცეს, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს მასალები დადგენილი წესით გასაფორმებლად.

2. საქართველოს სსრ სახმშენმა, საპროექტო ინსტიტუტებმა „თბილქალაქპროექტმა“ და „საქსახპროექტმა“ დაუყოვნებლივ დაიწყონ ლილოს სამრეწველო რაიონის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება; მიმდინარე წლის III კვარტალის დამლევამდე შეადგინონ სამრეწველო რაიონის არსებული განაშენიანების მოწესრიგების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო 1973 წლის 1 აპრილამდე — სამრეწველო რაიონის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება;

— საქართველოს სსრ სახმშენმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში განიხილონ და დაამტკიცონ ლილოს წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ღვარსარინების მშენებლობის ტექნიკური პროექტი.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განსაზღვრონ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წილობრივი მონაწილეობა ლილოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და კულტურული დანიშნულების დაწესებულებების მშენებლობაში, გაითვალისწინონ მშენებლობისათვის საჭირო ასიგნებათა გამოყოფა კაპიტალური მშენებლობის 1973—1975 წლების გეგმებში, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტას საჭიროებენ, წარმოადგინონ წინადადებანი.

4. ვინაიდან არსებობს სამეურნეო-სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობა, ლილოს მრეწველობისა და საცხოვრებელი დაბის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, ჟიხვალის წყალსადენის საექსპლუატაციოდ გადაცემამდე, გადიდდეს წყლის მიწოდება ქალაქ თბილისისათვის თბილისის წყალსაცავიდან იმ ანგარიშით, რომ აყვანილ იქნეს იგი 2 ათას ლიტრამდე წამში.

თბილისის წყალსაცავიდან წყლის დამატებით გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეისწავლონ საკითხი, რომ შეივსოს იგი ირიგაციის მიზნებისათვის მდინარე მტკვრის ნოღიდან წყლის ქვემო მაგისტრალურ არხში გადაქაჩვის გზით და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს, ცეკავშირის გამგეობას, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც განლაგებული არიან ლილოს სამრეწველო რაიონში, დასახონ მათი საქვეუწყებო საწარმოების მუშამოსამსახურეთა კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გადაუდებელი ღონისძიებანი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მათ განხორციელებას.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად დასახონ და დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის სამედიცინო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, ყოველწლიურად გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის 1973-1975 წლების გეგმებში ღონისძიებანი, რომ განვითარდეს ლილოს სამრეწველო რაიონის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელი დამტკიცებულ კაპიტალურ დაბანდებათა ფარგლებში, აგრეთვე ამ მიზნით დაფინანსე-

ბისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დამატებით გამოვლინებული წყაროების ხარჯზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 11 ივლისი, № 383.

63 სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან აცილებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დატაცების თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკას. ამ მიზნით:

ა) ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ სამეურნეო მუშაკთა კადრების, პირველ რიგში მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შერჩევა, აღზრდა და განაწილება, უზრუნველყონ ქმედითი კონტროლის გაწევა მათი მუშაობისადმი;

არ დაუშვან მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ის პირნი, რომლებიც ნასამართლევი არიან გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა ანგარებითი დანაშაულისათვის, მიაღწიონ, რომ მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკთა თანამდებობიდან განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლისთანავე მოეწყოს მათთვის მინდობილ ფასეულობათა მთლიანი ინვენტარიზაცია, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელ პირთათვის ყოველწლიური შვებულების მიცემის დროს აუცილებლად გადაეცეს მატერიალური ფასეულობანი იმ პირებს, რომლებიც მათთან არ არიან ნათესაურ კავშირში.

უზრუნველყონ შრომის კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების დადებას მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, მოაწყონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მისაღებ მინდობილობათა შენახვისა და გაცემის მკაცრი აღრიცხვა, აკრძალონ მათი მიცემა იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან გაფორმებული მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები საკონტროლო-სარევიზიო აპარატების საქმიანობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის, განამტკიცონ ისინი საიმედო და კვალიფიციური კადრებით და დაუქვემდებარონ უშუალოდ სამინისტროს, უწყების, სამმართველოს, ტრესტის ხელმძღვანელებს, ამასთან არ დაუშვან რევიზორების გამოყენება არადანიშნულებისამებრ;

მიაღწიონ საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესებას, უზრუნველყონ მისი საკონტროლო ფუნქციების გაძლიერება, განახორციელონ კონკრეტული ღო-

ნისძიებანი ცენტრალიზებული ბუღალტერიების შესაქმნელად, წარმოების დანახარჯების აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის, მატერიალურ ფასეულობათა ოპერატიულ-საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდის და საღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციის დასანერგავად;

მიიღონ ზომები რევიზიების კომპლექსურად მოწყობისათვის, ამ მიზნით მოიწვიონ საჭირო სპეციალისტები და რევიზია გაუწიონ სარევიზიო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ყველა ძირითად უბანს, მიაღწიონ რევიზიების მოწყობას ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციაში ზუსტად დადგენილი ვადების მიხედვით;

უზრუნველყონ რევიზიების მასალების განხილვა რევიზიის დამთავრებიდან სულ ბევრი 15-20 დღეში და მიიღონ კონკრეტული ქმედითი ზომები, რათა აღმოიფხვრას გამოვლინებული დარღვევები და თავიდან იქნეს აცილებული გაფლანგვა-დატაცების ფაქტების განმეორება, აგრეთვე ხუთი დღის ვადაში გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს მასალები რევიზიებითა და შემოწმებით გამოვლინებულ გაფლანგვა-დატაცებათა შესახებ, დამნაშავე პირთა სისხლის სამართალში მისაცემად, მიიღონ ქმედითი ზომები სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად;

არ დაუშვან ძირითადი ფონდების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების, ანგარიშებისა და ურთიერთანგარიშსწორების ინვენტარიზაციის დებულების მოთხოვნათა დარღვევა, აამაღლონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მთავარი (უფროსი) ბუღალტრებისა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ინვენტარიზაციის სრულად და ხარისხიანად მოწყობისათვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოო კოლექტივების ღრმა შესწავლისა და უცილობელი განხილვის საგნად გახადონ სოციალისტური საკუთრების დანაკლისისა და დატაცების ყოველი შემთხვევა. ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში შრომითი კოლექტივებისა და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ანგარიშების განხილვა, აგრეთვე ხელმძღვანელთა ანგარიშების სისტემატური მოსმენა საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ იურიდიული სამსახურის როლი. უფრო აქტიურად ჩააბან იგი დატაცება-გაფლანგვის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაში, უმოკლეს ვადაში მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ საწარმოები, დაწესებულებები, სამინისტროები, უწყებები იურისკონსულტებით ან იურისკონსულტთა ბიუროებით; გააქტივონ ეკონომიური ანალიზის სამსახურის მუშაობა საწარმოთა საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილ იმ გადახვევათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ დატაცებას;

გ) უცილობლივ მიაღწიონ იმას, რომ ამაღლდეს მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტროლის ქმედითობა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი. ყოველდღიურად იზრუნონ, რათა საჭირო პირობები შეიქმნას ასეთი კონტროლის განხორციელებისათვის, შეიმუშაონ და დანერგონ მისი ყველაზე ეფექტიანი მეთოდები და ფორმები; უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყონ ოპერატიული რეაგირება მშრომელთა წინადადებებსა და შენიშვნებზე, მიღებული ზომების შეტყობინება მოსახლეობისათვის;

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, ტაბლოვიტრინების საშუალებით უზრუნველყონ მოსახლეობის სისტემატური ინფორმირება, თუ რა საქონელია მიღებული გასაყიდად და ა. შ.

უმოკლეს ვადაში მიაღწიონ საკონტროლო საკასო აპარატების დაყენებას მაღაზიებში, სასადილოებში, კაფეებში; ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ მათი წესივრული მუშაობა, უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მომხმარებლებისათვის ჩეკებისა და ანგარიშების გაცემა იმ ფორმებით, რომლებიც მაქსიმალურად გამორიცხავენ მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუებას;

გააძლიერონ ყურადღება თვითმომსახურების მეთოდით მომუშავე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის შემდგომი განვითარებისადმი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში სავაჭრო ავტომატების, დოზირების აპარატებისა და სხვათა ფართოდ დასანერგავად;

დ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ მშრომელთა კოლექტივების აქტივობა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვაში;

ყველა საწარმოში გადასინჯონ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის არსებული ნორმები და დაამტკიცონ ახალი პროგრესული ნორმები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათს დროულად დანერგვას ყველა საამქროსა და ყოველ უბანზე; შეამოწმონ, აქვთ თუ არა დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმატიულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია ყველა სახეობის გამოშვებული პროდუქციის მიხედვით და რამდენად შეესაბამებიან ისინი წარმოების მიღწეულ დონეს; მკაცრი პასუხი აგებინონ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან წესრიგს ამ საქმეში;

ე) მიაღწიონ დაგეგმვის ახალი სისტემების დანერგვას ელექტროხულგამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განუწყვეტელი ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვის სისტემას, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის სხვა სისტემებს, რომლებიც ამაღლებენ მატერიალურ საშუალებათა დაცვის საიმედოობას;

ვ) ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ კონტროლი გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი, მიაღწიონ, რომ ფართოდ დაინერგოს უდეფექტო პროდუქციის დამზადებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში ამ პროდუქციის პირველ წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი;

უაღრესად გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ, რათა გაფართოვდეს საფაბრიკო (საწარმოო) წესით შეფუთული, დაფასოებული და სხვა მხრივ ჯეროვნად გაფორმებული პროდუქციის გამოშვება, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის საიმედოობას გადადიდვის, შენახვისა და რეალიზაციის დროს.

2. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებსა და მათს პარტიულ ორგანიზაციებს:

გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და ხარჯვის ორგანიზაციის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის;

უზრუნველყონ მატერიალურ ფასეულობათა ცენტრალიზებული წესით გაცემის (მიღების) საბუთების ბლანკების დამზადება და მათი მკაცრი აღრიცხვა (ნომრების მიხედვით), ამასთანავე აკრძალონ საქონლის გაცემა და მიღება სხვა საბუთებით;

დაწესდეს, რომ პროდუქციის გამოსაშვებად, აგრეთვე ობიექტების მშენებლობაზე გამოყენებული ნედლეულის და მასალების ჩამოწერა ხდება მათი ფაქტიური ხარჯვის ზუსტი შესაბამისობით და არ შეიძლება მას აღემატებოდეს; ნედლეულისა და მასალების გადახარჯვის ყოველი ფაქტი გახადონ სპეციალური შესწავლის საგნად, დასახონ და მიიღონ ქმედითი ზომები მსგავსი ფაქტების შემდგომში თავიდან აცილებისათვის;

დაწესდეს, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერა ჩამოსაფასებლად, მათი ხანგრძლივი ან ცუდ პირობებში შენახვის, ხარისხის შეცვლის და სხვა მიზეზების გამო გაფუჭების დროს, ხდება საწარმოს ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, სახელმწიფო კოოპერაციული (კოლმეურნეობებს გარდა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანარიშებისა და ბალანსების დებულების ზუსტი შესაბამისობით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაფუჭების მიზეზის საკითხს გულდასმით განიხილავენ კომპეტენტური კომისიები;

დანაკლისის ან დატაცების გამოვლენის თითოეულ შემთხვევაში უზრუნველყონ, რომ დაუყოვნებლივ და გულდასმით მოეწყოს ინვენტარიზაცია, ყველა ასეთი შემთხვევისა და აგრეთვე ინვენტარიზაციის არახარისხიანად მოწყობის ფაქტების განხილვა პირადად საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, იურიდიული სამსახურის მუშაკთა აუცილებელი მონაწილეობით;

მტკიცე წესად იქნეს შემოღებული საწარმოებში ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ნამეტი ნედლეულისა და მასალების შემოსავალში ჩარიცხვა და ამ ნამეტის შემოსავალში დროულად ჩაურიცხაობის ყოველი ფაქტი მიჩნეულ იქნეს სერიოზულ დარღვევად;

უზრუნველყონ მკაცრი კონტროლის გაწევა საწარმოთა საწყობებში მზა-პროდუქციის ნაშთების შემოწმების ვადების დაცვისადმი, ამასთან ფართოდ გამოიყენონ მოულოდნელ შემოწმებათა მოწყობა.

პროექტებიდან და ხარჯთაღრიცხვებიდან გადახვევის, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის, ერთეული ფასდებების ხელოვნური გადიდების, მასალებისა და ხელფასის ფონდის გადახარჯვის ყველა ფაქტი გახადონ სპეციალური მსჯელობის საგნად იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებანი მსგავს მოვლენათა აღმოფხვრისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევაში, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

აეკრძალოთ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს ჯეროვნად გაუფორმებელი და იარლიყშეუვსებელი უეტიკეტო საქონლის მიღება; სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელმა საწარმოებმა მტკიცედ დაიცვან მოთხოვნები, რომ ნაწარმის ყოველ ეგზემპლარზე აუცილებლად აღინიშნოს მისი ხარისხი, ფასი და გამოშვებული საქონლის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები;

უზრუნველყონ, რომ გადიდებული მოთხოვნილების საქონელი მომხმარებელს ეძლეოდეს მხოლოდ ხელშეკრულებით, დამტკიცებული ფონდისა და განრიგის მიხედვით, სასტიკად აკრძალონ მზა პროდუქციისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გაცემა უშუალოდ საწარმოდან (საამქროდან), საწყობის გვერდისავლით;

აიკრძალოს, როგორც წესი, საქონლის უშუალოდ სამრეწველო საწარმოებიდან გაცემა საცალო ვაჭრობის ქსელის წვრილი საწარმოებისათვის;

მტკიცედ შემოიღონ წარმოების ნარჩენების გამოყენებისა და რეალიზაციის წესი, უზრუნველყონ ჯეროვნად მოწყობილი ცალკე სათავსების და მოედნების გამოყოფა ნარჩენების შესანახად, განსაზღვრონ მათი აღრიცხვის, დაცვა-შენახვისა და რეალიზაციისათვის პასუხისმგებელი პირები;

დასახონ და 1972—1973 წლებში განახორციელონ საწარმოების სპეციალიზაციისა და წვრილი საამქროების, უბნებისა და ბაზების გამსხვილების კონკრეტული ღონისძიებანი; კატეგორიულად აკრძალონ საწარმოო ობიექტების (საამქროები, საწყობები, მოედნები) მოწყობა ისეთ ადგილებში, სადაც გამორიცხულია საჭირო დაცვა-შენახვისა და კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა; არ დაუშვან არც ერთი სამრეწველო საწარმოს გახსნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარუდგენლად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო ნებართვის მიუღებლად;

უმოკლეს ვადაში მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ჯეროვნად მოეწყოს ფულის შესანახი სათავსები, არ დაუშვან სალაროში შესანახი ნაღდი ფულის ლიმიტის გადამეტება.

3. საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ, ვაჭრობის სამინისტრომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა 1972 წლის ბოლომდე შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ცენტრალიზებული შეზიდვის გაფართოება და ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს მატერიალურ ფასეულობათა საიმედო დაცვა-შენახვას.

4. დაევალოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს: უზრუნველყონ ცენტრალური აპარატების ყველა მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება და მათი ყოველდღიური მო-

ნაწილეობა სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან ასაცილებლად ბრძოლის მოწყობაში იმ დონეზე, რასაც მოითხოვს სისტემაში შექმნილ კონკრეტული ვითარება და უმოკლეს ვადაში უმკაცრესი წესრიგის დამყარების აუცილებლობა;

ამ დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან აცილების ღონისძიებათა კონკრეტული, ქმედითი გეგმები და საჭირო ზომები მიიღონ მათი უცილობლივ შესრულებისათვის.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააქტიურონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა დატაცებისა და მექრთამეობის თავიდან აცილებისა და გამოვლენისათვის.

6. საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტმა ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ბრძოლა სახალხო დოვლათის დატაცების წინააღმდეგ, შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები ამ დადგენილების შესასრულებლად და წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებამ სისტემატური კონტროლი გაუწიოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დატაცებათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის გეგმების შესრულებას.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა მუდმივი კონტროლი დაუწესონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას და მის შესახებ პერიოდულად აცნობონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

8. ეს დადგენილება განხილულ იქნეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია პარტიულ კრებებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 8 აგვისტო, № 442.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

64 „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 11 აპრილის № 175 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები სსრ კავშირის შექმნის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად:

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანებისა — ორი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა — სამი;

2. დამატებით დაწესდეს 15 საიუბილეო საპატიო სიგელი სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო შენაერთების, ხომალდების, ნაწილების, სამხედრო სასწავლებლებისა და სამხედრო დაწესებულებათა დასაჯილდოებლად, რომლებმაც მაღალ შედეგებს მიაღწიეს საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დაწესდეს, რომ საიუბილეო საპატიო სიგელები აღნიშნულ სამხედრო კოლექტივებს მიენიჭებათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარდგენით.

საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოებულ ჯარის შენაერთებს, ნაწილებს, ხომალდებს, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო სასწავლებლებსა და სამხედრო დაწესებულებებს ფულადი პრემიები არ მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შეიცვალოს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 11 აპრილის № 175 დადგენილების მე-2 და მე-6 პუნქტები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„2. იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესდა საიუბილეო საპატიო სიგელები ფულადი პრემიებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები შესაბამისი ფულადი პრემიებით მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს 1972 წლის IV კვარტალის (ან წლის მეორე ნახევრის) საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით, ხოლო კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს — 1972 წლის შედეგების მიხედვით არ მიენიჭოთ“.

„6. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს საქართველოს კომუნისტური პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით შეაჯამონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივების საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1972 წლის 10 თვის გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით, აგრეთვე 1972 წლის დავალებათა და კოლექტივების მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით და 1972 წლის 25 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს იმ საწარმოთა, კოლმეურნეობათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სია, რომელთაც, მათი აზრით, მიზანშეწონილია მიენიჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე	ბ. ძოწენიძე	ბ. ჯავახიშვილი	თ. მოსაშვილი

ქ. თბილისი, 1972 წ. 8 აგვისტო, № 437

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1969 წლის 6 მარტის № 112 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 10 აგვისტოს № 86-VIII ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო უშუალოდ დაუქვემდებარდა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს დანართი № 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებისა „პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების გადანაწილებისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 ივლისი, № 370.

66 ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის უკეთ დაყენებისა და ამ დარგში დასაქმებული მუშაკების წახალისების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის დაწესდეს სამი ფულადი პრემია შეჯიბრების არსებული პირობების მიხედვით, აქედან: პირველი პრემია გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად, რომელიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 ივლისის № 564 დადგენილებით, და მეორე და მესამე პრემია — სათანადო ადგილზე გამოსული რაიონებისათვის.

2. ფულადი პრემიები საგზაო სამუშაოებში მონაწილე წარჩინებულ მუშაკებს მიეცეთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიის და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომის დადგენილებით, საწარმოო-საგზაო უბნების მიერ ფულადი სახსრებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების ეკონომიის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 18 აგვისტო, № 445.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67 მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული თანდართული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 ივლისი, № 369.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ ა ნ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო შეიქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესაბამის ზემდგომ ორგანოს.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო არის რაიონის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და განვითარების მთავარი ორგანო.

3. სოფლის მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ყოველნაირად გადიდება;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფა;

კოლმეურნეობების, საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკის განმტკიცება, საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფლება ენიჭება:

ა) მოისმინოს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, მიიღოს მათ გამო გადაწყვეტილებანი, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ბ) დააყენოს შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე საკითხი, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ღონისძიებათა შესრულების დროს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაში;

გ) მიიღოს რაიონში მდებარე საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან საჭირო მასალები და ცნობები სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოე-

12003

საქართველოს სსრ. სპ. ... რესპუბლი...

ბისა და ორგანიზაციების მიმართ განახორციელებს შემდეგ საკოორდინაციო საკონტროლო ფუნქციებს:

ა) შეიმუშავებს რაიონული საგეგმო ორგანოების მონაწილეობით რაიონის სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების გეგმების პროექტებს, მონაწილეობას მიიღებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის განსაზღვრაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღების განმახორციელებელი საწარმოებისა და პუნქტების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოების განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმების განხილვაში;

ბ) მოაწყობს მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას და მათ დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში; დახმარებას გაუწევს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ სწავლებას;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს გაუწევს მთელი მიწების გამოყენებას რაიონში, მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწის ნაყოფიერების ამაღლების, მათი მორწყვისა და დაშრობის, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მინდორსაცავი ტყის ნარგავების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას;

მოაწყობს მიწათმოწყობის სამუშაოთა შესრულებას; გასცემს დასკვნებს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებულ მიწათმოწყობის სამუშაოთა გეგმების გამო; უზრუნველყოფს რაიონში მიწების სახელმწიფო აღრიცხვისა და მიწის კადასტრის წარმოებას სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, რაიონის მიწის ბალანსის შედგენას;

დ) კონტროლს გაუწევს მეცხოველეობაში სანაშენო საქმისა და ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საკითხებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შესრულებას;

განახორციელებს ვეტერინარულ ზედამხედველობას რაიონში, მოაწყობს და კონტროლს გაუწევს ცხოველთა დაავადების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა, აგრეთვე სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა შესრულებას;

ე) კონტროლს გაუწევს თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და უზრუნველყოფს მათ გამოყენებას;

კონტროლს გაუწევს იმას, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა შეასრულონ ნათესებისა და ნარგავების დაცვის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების, დაავადებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებანი, კონტროლს გაუწევს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენებისა და მცენარეთა კარანტინის წესების შესრულების დროს;

შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან მეთოდებს, გამოავლენს და დროზე მისცემს სიგნალს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების გამოჩენისა და განვითარების დროს;

კონტროლს გაუწევს მინერალური სასუქების სწორად გამოყენებასა და შენახვას, პესტიციდების გამოყენების დაწესებული რეგლამენტების უსასტიკესად დაცვას, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ შხამქიმიკატების ნარჩენი რაოდენობის დაგროვებას სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ნიადაგში, წყლის წყაროებსა და გარემოს სხვა ობიექტებში დაწესებული უსაფრთხო ნორმების გადამეტებით;

ვ) ზედამხედველობას გაუწევს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობას, აგრეთვე მათი ტექნიკური ექსპლოატაციის, შენახვისა და ჩამოწერის წესების დაცვას;

ზ) დადგენილი წესით გაუწევს კონტროლს, თუ როგორ იცავენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მოქალაქეები ბუნების დაცვის კანონმდებლობას, აგრეთვე დაინტერესებულ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან ერთად — ბუნებრივი რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს შენარჩუნებისა და აღდგენის ღონისძიებათა შესრულებას;

თ) განახორციელებს მუშაობას, რაც დაკავშირებულია რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დებულებების (წესდებების), აგრეთვე მათი ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციასთან, ხელმძღვანელობას გაუწევს საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო, საკოლმეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, აგრეთვე კონტროლს გაუწევს მათს საქმიანობას; განიხილავს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს წინადადებებს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებებისა და საბჭოების იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

ი) მონაწილეობას მიიღებს სოფლის დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კომპლექსებისა და საწარმოების მშენებლობისათვის საჭირო ნაკვეთების შერჩევაში;

კ) მოამზადებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განსახილველად წარადგენს წინადადებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ და სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებზე, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს კომპეტენციაში შედის;

ლ) დახმარებას გაუწევს მოსახლეობას პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის გადაწყვეტილებებით სოფლის მეურნეობის სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, შესაბამისი ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებითა და ამ დებულებით.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო მისთვის დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

8. სოფლის მეურნეობის სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად კოლმეურნეობების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ:

ა) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას;

ბ) შეიმუშავებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებათა პროექტებს, წარუდგენს მათ დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს და აღმასკომის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს აცნობებს მეურნეობებს;

გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში დააწესებს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას, დაამტკიცებს და საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აცნობებს ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებებს, ხელფასის ფონდებსა და მმართველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებებს;

მოაწყობს მეურნეობათა განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების, აგრეთვე მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავებას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ, განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმებს, რომლებიც გაერთიანებულია კრებსითს გეგმებში, და განსახილველად წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს;

გ) მონაწილეობას მიიღებს რაიონული დამამზადებელი ინსპექციის მიერ მოწყობილ მუშაობაში, რათა დროულად დადონ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი; შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის მისაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მის სათანადო შენახვას;

დ) უზრუნველყოფს გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ;

ე) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვას, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვას;

უზრუნველყოფს ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების, გამოთვლითი და ორგანიზაციული ტექნიკის საშუალებების, აგრეთვე სადისპეტჩერო სამსახურის დანერგვას სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და მართვაში;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობის, თესლბრუნვის შემოღებისა და დაცვის, სასუქების, ნიადაგის დამუშავების რაციონალური სისტემის გამოყენებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე;

მოაწყობს სასელექციო და მეთესლეობის მუშაობას მეურნეობებში; მიიღებს ზომებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების უზრუნველსაყოფად რაიონირებული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშიანი თესლით;

მიიღებს ზომებს სრულფასოვანი და იაფი საკვების წარმოების ყოველმხრივ გადიდებისათვის;

უზრუნველყოფს ორგანული სასუქების მაქსიმალურად დანერგვას და რაციონალურად გამოყენებას, დანერგავს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების პროგრესულ ტექნოლოგიას;

ზ) უზრუნველყოფს ყოველ მეურნეობაში პირუტყვისა და ფრინველის სულადობის საჭირო ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო კომპლექსების შექმნა სამრეწველო საფუძველზე;

თ) უზრუნველყოფს მელიორირებული მიწების სრულად და მაღალპროდუქტიულად გამოყენებას, წყალსარგებლობის სამეურნეო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას, მეურნეობებში რწყვის პროგრესული საშუალებებისა და წყლის მომჭირნეობით გამოყენების დანერგვას, შიგასამეურნეო სარწყაკი, დასაშრობი და საკოლექტორო-სადრენაჟე ქსელისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა შენახვას წესიერ მდგომარეობაში, მლაშობი მიწების დროულად გარეცხვას, მჟავე ნიადაგების გაკირიანებას და მლაშობი ნიადაგების გათაბაშირებას და განახორციელებს მიწების ნაყოფიერების ამაღლების სხვა ღონისძიებებს;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას, კონტროლს გაუწევს მათ მიერ საფინანსო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და სახელმწიფოს წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა შესრულებას, მოაწყობს და დადგენილი წესით განახორციელებს მათ დაფინანსებას, მეურნეობათა განაცხადების საფუძველზე განსაზღვრავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას კაპიტალური მშენებლობის კრედიტებზე, ტექნიკის შეძენასა და სასოფლო-სამე-

ურნეო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებზე, კონტროლს გაუწევს კრედიტების სწორად გამოყენებას;

აწარმოებს ბრძოლას მეურნეობათა სახსრების ისეთი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან;

კონტროლს გაუწევს იმას, რომ დროზე იქნას შეტანილი კოლმეურნეობათა სახსრების ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობის სამუშაოებს, დაეხმარება კოლმეურნეობებს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მოწყობაში, დადგენილი წესით მოაწყობს დოკუმენტურ შემოწმებას კოლმეურნეობებში, მოაწყობს და განახორციელებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შიდასაუწყებო კონტროლს, განახორციელებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების პერიოდული და წლიური საბუღალტრო ანგარიშგების მიღებას და კრებსით დოკუმენტებად გაერთიანებას, დადგენილი წესით წარუდგენს მათ შესაბამის ორგანოებს, განიხილავს კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს, დანერგავს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს;

ლ) განახორციელებს მეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათს განმტკიცებას სპეციალისტებით, უზრუნველყოფს კადრების შენარჩუნებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ახალგაზრდობის რიცხვიდან, მოაწყობს ადგილობრივი სოფლის ახალგაზრდობის გაგზავნას სასწავლებლად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, დადგენილი წესით განახორციელებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხელახალ ატესტაციას;

მ) კონტროლს გაუწევს ხელფასის ფონდების გამოყენებას საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ამ საწარმოთა მუშაკების, აგრეთვე კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვას, შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების მოქმედი სისტემების სწორად გამოყენებას, უზრუნველყოფს ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების სწორ თანაფარდობას — აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას;

ნ) კონტროლს გაუწევს კაპიტალური მშენებლობისა და ასამუშავებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებას, მონაწილეობას მიიღებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფების ღონისძიებათა შემუშავებაში, დადგენილი წესით მოაწყობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებასა და დამტკიცებას სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის;

ო) განახორციელებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებებს, კონტროლს გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დაცვას საბ-

ჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, მონაწილეობას მიიღებს სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების მუშაობაში კოლმეურნეებისათვის პენსიების დასანიშნავად;

ბ) მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის;

ბ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კონტროლს გაუწევს მეურნეობათა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა ფონდების სახსრების გამოყენებას;

რ) დახმარებას გაუწევს დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შექმნასა და განვითარებას, მიიღებს ზომებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების მოწყობისათვის, საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებისათვის;

ს) მოაწყობს კოლმეურნეობათა წესდებების, აგრეთვე მათი ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციას, კონტროლს გაუწევს კოლმეურნეობათა წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მმართველობის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას, კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამებას;

ტ) განიხილავს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს წარუდგენს წინადადებებს, რომ გადაწყვიტოს კოლმეურნეთა საჩივრები კოლმეურნეობიდან მათი გარიცხვის შესახებ, სტიქიური უბედურებით დაზარალებული კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის მიმდინარე წლის ფარგლებში გადავადების შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ აღიძრას შუამდგომლობა შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომ უფრო ხანგრძლივი დროით განევადოთ ასეთ კოლმეურნეობებს გადასახადის გადახდა ან მთლიანად, ანდა ნაწილობრივ განთავისუფლდნენ ისინი გადასახადის გადახდისაგან შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე, რომ გაუქმდეს კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) და კოლმეურნეობათა გაძგეობების გადაწყვეტილებანი, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;

უ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვას და გადაწყვეტას, შეამოწმებს, თუ რა მდგომარეობაშია მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში იმყოფებიან რაიონის ვეტერინარული სამსახური, ცხოველთა სანაშენო საქმისა და ხელოვნური დათესლვის სადგური, მიწათმოწყობის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, სახელმწიფო სასოფლო ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური და მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციები.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო კოლმეურნეობათა რაიონულ საბჭოსთან კონტაქტში გადაწყვეტს საკოლმეურნეო წარმოების, სამეურ-

ნეობათაშორისო კავშირურთიერთობის განვითარების, საკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვის საკითხებს და კოლმეურნეობათა პრაქტიკული ხელმძღვანელობის სხვა ძირითად საკითხებს.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც დაამტკიცებს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საბჭოს სესიებს შორის პერიოდში შეუძლია დანიშნოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობათა შემსრულებელი და გადააყენოს იგი ამ მოვალეობათა შესრულებისაგან, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს მორიგ სესიას.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობას გაუწევს სამმართველოს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეიტანს სოფლის მეურნეობის საკითხებზე მისაღებ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტებს;

— სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად;

— განახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

— განაგებს კრედიტებსა და სახსრებს დაწესებული ხარჯთაღრიცხვებისა და ასიგნებათა ფარგლებში;

— უზრუნველყოფს საფინანსო-საშტატო დისციპლინის დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვას;

— სამუშაოზე მიიღებს და დაითხოვს დადგენილი წესით სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

— დაამტკიცებს სოფლის მეურნეობის სამმართველოს საქვეუწყებო დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს სამმართველოს მუშაობის შესახებ და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესაბამის ზემდგომ ორგანოს.

15. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

16. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, მას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

---

68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 აგვისტოს № 496 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 აგვისტოს № 496 დადგენილების მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„103. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოს, მისი საქვეუწყებო საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს რუსთავის სამშენებლო ლითონკონსტრუქციების ქარხანა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 6 ივლისი, № 375.

69 საქართველოს სსრ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 132 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 12 ივლისი, № 382.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 12 ივლისის
№ 382 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ამოცანებია უზრუნველყონ იმ არასრულწლოვან ბავშვთა აღზრდა, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე; ამ ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებია მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

არასრულწლოვან პირთა მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების განყოფილებებს, სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად აღიარებული პირებისა — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს, ხოლო იმ ქმედუნარიანი პირებისა, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მზრუნველობას — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეწევიან მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამისი ორგანოების მუშაობის ორგანიზაციას, უწევენ მათ მეთოდურ დახმარებას და ადგენენ კრებსით ანგარიშებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საკავშირო სამინისტროების მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით.

5. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებით, საქართველოს სსრ საქორწინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საოჯახო კოდექსით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, ამ დებულებით, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით, რომლებიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

II. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უფლება-მოვალეობანი

6. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები:

ა) გამოავლენენ თვრამეტ წელს მიღწეულ ბავშვებს, რომლებიც მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, და იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები არ უზრუნველყოფენ მათს ჯეროვან აღზრდასა და მოვლა-პატრონობას, აგრეთვე სრულწლოვან პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მეურვეობას ან მზრუნველობას;

ბ) მეურვეობისა ან მზრუნველობის დაწესებამდე უზრუნველყოფენ სამეურვეო ან სამზრუნველო პირთა დროებით მოწყობას, აგრეთვე მათი ქონების დაცვას;

გ) ნიშნავენ მეურვეებსა და მზრუნველებს და ათავისუფლებენ ან გადააყენებენ მეურვეებსა და მზრუნველებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისაგან, ამასთან ერთი თვის ვადაში უგზავნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შესაბამის განყოფილებას მეურვის (მზრუნველის) დანიშვნის, გადაყენების ან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლს;

დ) ამზადებენ საჭირო საბუთებს მეურვეობის ან მზრუნველობის დასაწესებლად, სათანადო შემთხვევაში — საბუთებს საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა მოსაწყობად, აგრეთვე შესაბამის დაწესებულებებში იმ სრულწლოვან პირთა მოსაწყობად, რომლებიც ამას საჭიროებენ;

ე) კონტროლს უწევენ, თუ როგორ ასრულებენ მეურვეები და მზრუნველები დაკისრებულ მოვალეობას;

ვ) კონტროლს უწევენ, თუ როგორ ხორციელდება სამედიცინო დაკვირვება სულით ავადმყოფ სამეურვეო პირებზე;

ზ) ნებართვას აძლევენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო პირის სახელით დადონ გარიგება, რომელიც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცილდება, მათ შორის დადონ ხელშეკრულება, რომელიც სანატარო წესით უნდა დამოწმდეს, უარი თქვან სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე, გაყონ და გაასხვისონ მისი ქონება, თუ გარიგების თანხა 100 მანეთს არ აღემატება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გარიგების თანხა 100 მანეთს აღემატება, ან საჭიროა საცხოვრებელი სადგომის გადაცვლის ნებართვის მიღება, თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნას წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

თ) საკმაო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეზღუდავენ ან ჩამოართმევენ თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანს მისი ხელფასის ან სტიპენდიის დამოუკიდებლად გამოყენების უფლებას;

ი) ზომებს მიიღებენ, რათა შეუნარჩუნდეს სახელმწიფო დაწესებულებებში ან მეურვეებთან (მზრუნველებთან) მოთავსებულ სამეურვეო პირებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელი სადგომი ჩასაბარებელია, — უზრუნველყოფენ მათ საცხოვრებელი ფართობით საბავშვო დაწესებულებიდან გამოსვლისთანავე;

კ) დანიშნავენ და გასცემენ დახმარებას სამეურვეო პირთა სარჩენად;

ლ) დახმარებას უწევენ მეურვეებსა და მზრუნველებს სამეურვეო პირთა რჩენაში, მათი საზაფხულო დასვენებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაციაში;

მ) აძლევენ მეურვეებსა და მზრუნველებს სათანადო მოწმობებს;

ნ) განიხილავენ საჩივრებს მეურვეებისა და მზრუნველების მოქმედებაზე;

ო) აღძრავენ სასამართლოში საქმეს მშობლების ან მშობლის უფლების ჩამორთმევის ან მშობლის უფლების ჩამოურთმევლად ბავშვის ჩამორთმევის შესახებ;

პ) ეწევიან ბავშვთა აღრიცხვას, რომლებიც მოწყობას საჭიროებენ, და აწარმოებენ სამეურვეო პირთა პირად საქმეებს, დაწესებული ფორმით წარუდგენენ ანგარიშებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამის განყოფილებას;

7. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები:

ა) აწყობენ მუშაობას თვრამეტ წელს მიუღწეველ იმ ბავშვთა გამოსავლენად, რომლებიც მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, ბავშვებისა, რომელთა მშობლები არ უზრუნველყოფენ მათს ჯეროვან აღზრდასა და მოვლა-პატრონობას, აგრეთვე სრულწლოვანი პირებისა, რომელნიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მეურვეობას ან მზრუნველობას, და იღებენ ზომებს მათი მოწყობისათვის;

ბ) ნიშნავენ მეურვეებსა და მზრუნველებს, ათავისუფლებენ ან გადააყენებენ მეურვეებსა და მზრუნველებს მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან;

გ) კონტროლს უწევენ, თუ როგორ ასრულებენ მეურვეები და მზრუნველები დაკისრებულ მოვალეობას;

დ) იცავენ სამეურვეო პირთა პირადსა და ქონებრივ უფლებებს, აგრეთვე იმ ბავშვებისა, რომლებსაც არა აქვთ აღზრდის სათანადო პირობები ოჯახში;

ე) ნიშნავენ დახმარებას სამეურვეო პირთა სარჩენად;

ვ) აწარმოებენ შვილად აყვანას;

ზ) ნებართვას იძლევიან კანონმღებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანთა გვარის გამოცვლაზე;

თ) ნებართვას აძლევენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო პირის სახელით დადონ გარიგება, რომელიც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცილდება, მათ შორის დადონ ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, უარი თქვან სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე, გაყონ ან გაასხვისონ მისი ქონება, გადაცვალონ საცხოვრებელი სადგომი;

ი) საკმაო საფუძვლის არსებობისას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეზღუდავენ მეურვის ან მშობლის უფლებას განაგონ სამეურვეო პირის ანაბრები;

კ) საკმაო საფუძვლის არსებობისას შეუზღუდავენ ან ჩამოართმევენ თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანს მისი ხელფასის ან სტიპენდიის დამოუკიდებლად გამოყენების უფლებას;

ლ) ზომებს მიიღებენ, რათა შეუნარჩუნდეს სახელმწიფო დაწესებულებებში ან მეურვეებთან (მზრუნველებთან) მოთავსებულ სამეურვეო პირებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელი სადგომი ჩასაბარებელია, — უზრუნველყოფენ მათ საცხოვრებელი ფართობით საბავშვო დაწესებულებიდან გამოსვლისთანავე;

მ) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შუამდგომლობით მიამაგრებენ მეურვეს (მზრუნველს) საცხოვრებელ სადგომს, რომლითაც სარგებლობს სამეურვეო პირი;

ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ, ამ პუნქტში მითითებულ ფუნქციას ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები.

იმ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ, ხელმძღვანელობენ მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და წყვეტენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (ქალაქისა) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებაზე შემოსულ საჩივრებს. საქალაქო, რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების მიმართ ამ ფუნქციებს ასრულებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთაც არა აქვთ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები, ახორციელებენ მხოლოდ იმ ფუნქციებს, რომლებიც დაკისრებული აქვთ მშრომელთა დეპუტატების საოფლოსადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ამ დებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები:

ა) ხელმძღვანელობენ მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

ბ) აწარმოებენ შვილად აყვანას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ნებართვას იძლევიან არასრულწლოვანთა გვარის გამოცვლაზე;

დ) ნიშნავენ დახმარებას სამეურვეო პირთა სარჩენად;

ე) იცავენ სამეურვეო პირთა პირადსა და ქონებრივ უფლებებს, აგრეთვე იმ ბავშვებისას, რომლებსაც არა აქვთ აღზრდის საჭირო პირობები ოჯახში;

ვ) ნებართვას აძლევენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო პირის სახელით დადონ გარიგება, რომელიც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცილდება, მათ შორის დადონ ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, უარი თქვან სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე, გაყონ და გაასხვისონ მისი ქონება, გადაცვალონ საცხოვრებელი სადგომი;

ზ) ზომებს მიიღებენ, რათა შეუნარჩუნდეს სახელმწიფო დაწესებულებებში ან მეურვეებთან (მზრუნველებთან) მოთავსებულ სამეურვეო პირებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელი სადგომი ჩასაბარებელია, — უზრუნველყოფენ მათ საცხოვრებელი ფართობით საბავშვო დაწესებულებიდან გამოსვლისთანავე;

თ) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შუამდგომლობით მეურვეებს (მზრუნველებს) მიამაგრებენ საცხოვრებელ სადგომებს, რომლებითაც სამეურვეო პირები სარგებლობენ;

ი) გადაწყვეტენ საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოქმედებაზე შემოსულ საჩივრებს და საჭიროების შემთხვევაში გააუქმებენ ჩამოთვლილი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

იმ შემთხვევაში, როცა სასოფლო ადგილი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დაქვემდებარებაშია, ამ პუნქტში ჩამოთვლილ ფუნქციებს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები.

თუ დასახლებულ პუნქტში, სადაც მდებარეობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არ არის მშრომელთა დეპუტატების დამოუკიდებელი სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭო, ჩამოთვლილ ფუნქციებს ამ სასოფლო პუნქტში მცხოვრებ პირთა მიმართ ასრულებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი.

III. განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილებების უფლება-მოვალეობანი

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განათლების განყოფილებები არასრულწლოვანთა პირადი და ქონებრივი უფლებების დროული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) გამოავლენენ თვრამეტ წელს მიუღწეველ ბავშვებს, რომლებიც მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, აგრეთვე ბავშვებს, რომელთა მშობლები არ უზრუნველყოფენ მათს ჯეროვან აღზრდასა და მოვლა-პატრონობას, და იღებენ ზომებს მათი მოწყობისათვის;

ბ) უზრუნველყოფენ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთა დროებით მოწყობას და მათი ქონების დაცვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეარჩევენ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობის ფორმებს (სამეურვეოდ გადაცემა, შვილად აყვანა, საბავშვო დაწესებულებაში მოთავსება);

დ) აწარმოებენ იმ არასრულწლოვანთა აღრიცხვასა და პირად საქმეებს, რომლებიც საჭიროებენ მოწყობას, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით, და ადგენენ კრებსითს ანგარიშს მათი დაქვემდებარების მთელი ტერიტორიის მიხედვით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფორმების თანახმად;

10. სამეურვეოდ და სამზრუნველოდ გადასაცემ არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილებები:

ა) შეარჩევენ მეურვეს (მზრუნველს), რომელსაც შეუძლია არასრულწლოვანის აღზრდა, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა;

ბ) წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს მეურვის (მზრუნველის) დასანიშნავად საჭირო დოკუმენტებს თავიანთ დასკვნასთან და გამოკვლევის აქტთან ერთად;

გ) მისცემენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო მოწმობებს;

დ) აღმოუჩენენ მეურვეებს (მზრუნველებს) მუდმივ დახმარებას სამეურვეო პირთა აღზრდაში, მათი საზაფხულო დასვენებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაციაში და ა. შ.;

ე) მისცემენ მეურვეს (მზრუნველს) დახმარებას, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი დანიშნავს სამეურვეო პირის სარჩენად;

ვ) იცავენ სამეურვეო პირთა ქონებრივ უფლებებს და ნებართვას აძლევენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო პირის სახელით დადონ გარიგება, რომელიც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცდება, მათ შორის დადონ ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, უარი თქვან სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე, გაყონ ან გაასხვისონ მისი ქონება, თუ გარიგების თანხა 100 მანეთს არ აღემატება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გარიგების თანხა 100 მანეთს აღემატება, ან საჭიროა საცხოვრებელი სადგომის გადაცვლის ნებართვის მიღება, საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნება ან მიცემა, — თავიანთ დასკვნას წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

ზ) საკმაო საფუძვლის არსებობისას შეუზღუდავენ ერთ-ერთ მშობელთაგანს ან მეურვეს სამეურვეო პირის ანაბრების განკარგულების უფლებას, აგრეთვე შეუზღუდავენ ან ჩამოართმევენ არასრულწლოვანს თავისი ხელფასის (სტიპენდიის) დამოუკიდებლად გამოყენების უფლებას;

თ) სისტემატურ ზედამხედველობას უწევენ მეურვის (მზრუნველის) ოჯახში სამეურვეო პირთა აღზრდას;

ი) განიხილავენ მეურვეების (მზრუნველების) მოქმედებაზე შემოსულ საჩივრებს;

კ) საჭირო შემთხვევაში აღძრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობას და-

კისრებული მოვალეობებისაგან მეურვეების (მზრუნველების) გათავისუფლების ან გადაყენების შესახებ;

ლ) მეურვის (მზრუნველის) მიერ მეურვეობის (მზრუნველობის) ანგარების მიზნით გამოყენების, აგრეთვე სამეურვეო პირის უმეთვალყურეოდ დატოვებისა და საჭირო დახმარების გაუწევლობის შემთხვევაში გადასცემენ პროკურორს საჭირო მასალებს დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად კანონით დადგენილი წესით.

11. გასაშვილებელი არასრულწლოვანის უფლებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილებები:

ა) იღებენ განცხადებებს არასრულწლოვანის შვილად აყვანის შესახებ და ამოწმებენ, უპასუხებენ თუ არა შვილად ამყვანი გამცხადებელი პირები მშვილებელთადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

ბ) გამოარკვევენ, სურს თუ არა ათწლამდე მიღწეულ არასრულწლოვანს გაშვილება, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — თანახმანი არიან თუ არა მისი მშობლები, მეურვე (მზრუნველი), მშვილებლის მეუღლე;

გ) წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს შვილად აყვანის საკითხის გადასაწყვეტად საჭირო საბუთებს, თავიანთ დასკვნასთან და გამოკვლევის აქტთან ერთად;

დ) საჭირო შემთხვევებში მეთვალყურეობას უწევენ მშვილებლის ოჯახში ნაშვილების აღზრდას;

ე) საჭირო შემთხვევებში წარუდგენენ სასამართლოს სარჩელს შვილად აყვანის გაუქმების ან შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ და იძლევიან დასკვნებს შვილად აყვანის გაუქმების ან შვილად აყვანის ბათილად ცნობის თაობაზე სხვა პირთა მიერ აღძრული საქმეების გამო.

12. იმ არასრულწლოვანთა პირადი და ქონებრივი უფლებების დასაცავად, რომელთაც ჰყავთ მშობლები, განათლების რაიონული განყოფილებები:

ა) გვარის (სახელის) გამო მშობლებს შორის წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში მითითებას აძლევენ მმაჩის ორგანოებს, თუ რომელი გვარი (სახელი) უნდა მიეკუთვნოს ბავშვს;

ბ) კანონით დადგენილ შემთხვევაში წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არასრულწლოვანის გვარის შესაცვლელად საჭირო საბუთებს თავიანთ დასკვნასთან ერთად;

გ) მოაგვარებენ მშობლებს შორის უთანხმოებას ბავშვის აღზრდის საკითხზე;

დ) იღებენ ზომებს, რათა უზრუნველყონ შვილებისაგან ცალკე მცხოვრები მშობლის უფლება—ურთიერთობა იქონიოს შვილებთან და მონაწილეობა მიიღოს მათს აღზრდაში, ხოლო საჭირო შემთხვევაში — დროებით შეუზღუდონ მას ეს უფლება;

ე) ეწევიან მუშაობას იმ მშობლებთან, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვების ჯეროვან აღზრდას ოჯახში;

ვ) საჭირო შემთხვევაში აღძრავენ სასამართლოში საქმეს მშობლის უფლების ჩამორთმევის ან მშობლების უფლების ჩამოურთმევლად შვილების ჩამორთმევის შესახებ;

ზ) იძლევიან დასკვნებს იმ საქმეთა გამო, რომლებიც შეეხება მშობლის უფლების ჩამორთმევას, მშობლების ან სხვა პირთაგან ბავშვების ჩამორთმევას, მშობლის უფლებებში აღდგენას, ჩამორთმეული ბავშვის მშობლებისათვის დაბრუნებას, აგრეთვე მშობლებს შორის წამოჭრილ დავას — რომელ მათგანთან უნდა იცხოვრონ არასრულწლოვანმა ბავშვებმა;

თ) მონაწილეობენ ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული დავის სასამართლო განხილვაში;

ი) მონაწილეობენ ბავშვების გადაცემის ან ჩამორთმევის თაობაზე სასამართლო განაჩენის აღსრულებაში;

კ) წყვეტენ იმ მშობელთა მიერ შვილების ნახვის საკითხს, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები;

13. დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს საჭირო საბუთებისა და ცნობების წარდგენა;

ბ) აწარმოონ გამოკვლევა და გამოკითხვა მოქალაქეებისა, რომელთაც შეუძლიათ არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად საჭირო ცნობების მიცემა;

გ) გამოიძახონ მშობლები, აგრეთვე სხვა მოქალაქენი იმ საკითხებზე სასაუბროდ და ახსნა-განმარტებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან;

დ) გამოვიდნენ სასამართლოში მესარჩლეებად და მოპასუხეებად, აგრეთვე გამოვიდნენ პროცესზე არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

14. იმ არასრულწლოვან ბავშვთა გამოვლინებას, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ისწავლიან სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემაში, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ამ ბავშვთა მოთავსებას საბავშვო დაწესებულებებში, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამგებლობაშია, ან აღნიშნულ ბავშვთა გადაცემას სამეურვეოდ ეწევიან შესაბამისად — სოციალური უზრუნველყოფის ან ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილება, ხოლო ქალაქ თბილისში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება:

ა) ახორციელებენ ხელმძღვანელობას და კონტროლს განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილებების საქმიანობისადმი;

ბ) განიხილავენ საჩივრებს მათს მოქმედებაზე და საჭიროების შემთხვევაში აუქმებენ მათს გადაწყვეტილებებს;

გ) იღებენ ანგარიშებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის შესახებ და ადგენენ კრებსითს ანგარიშებს რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის მიხედვით.

IV. ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებების, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების უფლება-მოვალეობანი

16. ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები:

ა) გამოავლენენ სულით ავადმყოფ და გონნაკლულ პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მეურვეობის დანიშვნას;

ბ) აწარმოებენ იმ პირთა აღრიცხვასა და პირად საქმეებს, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას და მზრუნველობას;

გ) მოამზადებენ საჭირო მასალებს და სასამართლოში აღძრავენ საქმეს მოქალაქის არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ და მონაწილეობენ სხვა პირთა მიერ აღძრული ასეთი საქმეების განხილვაში;

დ) მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე სასამართლოსაგან ცნობის მიღებისთანავე შეარჩევენ პირს, რომელსაც შეუძლია მეურვის (მზრუნველის) მოვალეობათა შესრულება, ხოლო მეურვის (მზრუნველის) დანიშვნამდე უშუალოდ ახორციელებენ უფლება-მოვალეობას, რაც ეკისრება მეურვეს (მზრუნველს);

ე) წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს საბუთებს, რომლებიც საჭიროა მეურვის (მზრუნველის) დასანიშნავად;

ვ) მისცემენ მეურვეებს (მზრუნველებს) სამეურვეო მოწმობებს;

ზ) სისტემატურ ზედამხედველობას უწევენ სამეურვეო პირთა ცხოვრების პირობებს და მეურვეებზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას, ხოლო სამეურვეო პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში — მისი ქმედუნარიანად აღიარების თაობაზე მეურვის მიერ შუამდგომლობის დროულად აღძვრას;

თ) საჭირო სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ სამეურვეო პირებს და კონტროლს გაუწევენ სამეურვეო პირზე მუდმივი სამედიცინო დაკვირვების განხორციელებას;

ი) აძლევენ მეურვეებს დახმარებას, რომელიც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომმა დანიშნა სამეურვეო პირის სარჩენად;

კ) იცავენ სამეურვეო პირის ქონებრივ უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნებართვას აძლევენ მეურვეებს დადონ გარიგებანი;

ლ) განიხილავენ საჩივრებს მეურვეების (მზრუნველების) მოქმედებაზე;

მ) აღძრავენ საჭირო შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობას და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისრებული მოვალეობის შესრულებისაგან მეურვის (მზრუნველის) გათავისუფლების ან გადაყენების შესახებ;

ნ) მეურვის (მზრუნველის) მიერ მეურვეობის (მზრუნველობის) ანგარების მიზნით გამოყენების, აგრეთვე არაქმედუნარიანი პირის უმეთვალყურეოდ დატოვების და საჭირო დახმარების გაუწევლობის შემთხვევაში გადასცემენ პროკურორს საჭირო მასალებს დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად კანონით დადგენილი წესით.

17. დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებებს უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს საჭირო საბუთებისა და ცნობების წარდგენა;

ბ) აწარმოონ გამოკვლევა და გამოკითხვა მოქალაქეებისა, რომელთაც შეუძლიათ სამეურვეო პირთა უფლებების დასაცავად საჭირო ცნობების მიცემა;

გ) გამოიძახონ ნათესავები, აგრეთვე სხვა მოქალაქენი იმ საკითხებზე სასაუბროდ და ახსნა-განმარტებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან;

დ) გამოვიდნენ სასამართლოში მესარჩლეებად და მოპასუხეებად, აგრეთვე გამოვიდნენ პროცესზე სამეურვეო პირის უფლებისა და ინტერესების დასაცავად;

მეურვეებისა და მზრუნველების შერჩევას უშუალოდ ეწევიან ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები (მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

18. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, ხოლო ქალაქ თბილისში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებების საქმიანობისადმი, განიხილავენ საჩივრებს მათს მოქმედებაზე და საჭირო შემთხვევაში აუქმებენ მათს გადაწყვეტილებებს.

V. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილებების, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების უფლება-მოვალეობანი

19. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები:

ა) გამოავლენენ იმ პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მზრუნველობას;

ბ) შეურჩევენ ამ პირებს მზრუნველებსა და საჭირო დახმარებას გაუწევენ მზრუნველობის გაფორმებაში;

გ) მოამზადებენ მზრუნველის დასანიშნავად საჭირო საბუთებს და წარუდგენენ მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადასაწყვეტად;

დ) აწარმოებენ სამეურვეო პირთა აღრიცხვასა და პირად საქმეებს (ბა
რათებს);

ე) აძლევენ მზრუნველებს მოწმობებს მზრუნველად დანიშვნის შესახებ;

ვ) გასცემენ დახმარებას, რომელიც მშრომელთა დეპუტატების რაიონულ
მა (საქალაქო) საბჭოს აღმასკომმა დანიშნა სამეურვეო პირთა სარჩენად;

ზ) ეწევიან სამეურვეო პირთა ცხოვრების პირობების გამოკვლევას და
ამოწმებენ მზრუნველთა მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას;

თ) განიხილავენ საჩივრებს მზრუნველთა მოქმედებაზე;

ი) საჭირო შემთხვევაში აღძრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული
(საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობას და-
კისრებული მოვალეობის შესრულებისაგან მზრუნველის გათავისუფლების ან
გადაყენების შესახებ.

20. დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად სოციალური უზრუნ-
ველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს და
ცალკეულ პირებს საჭირო საბუთებისა და სხვა მასალების წარდგენა;

ბ) აწარმოონ გამოკვლევა და გამოკითხვა მოქალაქეებისა, რომელთაც შე-
უძლიათ სამეურვეო პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად საჭირო
ცნობების მიცემა;

გ) გამოვიდნენ სასამართლოში მესარჩლეებად და მოპასუხეებად, აგრეთ-
ვე გამოვიდნენ პროცესზე სამეურვეო პირის უფლებებისა და ინტერესების
დასაცავად;

21. თავიანთ მუშაობაში სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები
ფართოდ ეყრდნობიან საზოგადოებრიობას, იზიდავენ მის წარმომადგენლებს
ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად.

22. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხა-
ზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღ-
მასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, ხოლო ქალაქ თბილის-
ში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სო-
ციალური უზრუნველყოფის განყოფილება ახორციელებენ ხელმძღვანელობასა
და კონტროლს სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყო-
ფილებების საქმიანობისადმი, განიხილავენ საჩივრებს მათს მოქმედებაზე და
საჭიროების შემთხვევაში გააუქმებენ მათს გადაწყვეტილებებს.

---

70 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. საქართველოს სსრ საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის დროებითი შეწყვეტა ან შეზღუდვა დასაშვებია სტიქიური ხასიათის მოვლენებისა და საგზაო-კლიმატური პირობების გამო.

გადაწყვეტილებებს საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის დროებითი შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ, მოქმედების ვადის განსაზღვრით, იღებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

გადაუდებელ შემთხვევებში ავტომობილების მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის უფლება აქვს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს იმ ქუჩებისა და გზების ცალკეულ მონაკვეთზე, რომლითაც სარგებლობა საფრთხეს უქმნის ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან აცნობონ დაინტერესებულ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს საავტომობილო გზებზე გადაზიდვების დროებითი შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ“.

2. იმავე წესდების 128-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) განსაზღვრულ გზებზე ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დროებით შეწყვეტის ან შეზღუდვის გამო“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 13 ივლისი, № 384.

71 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ობიექტების მიხედვით მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა პროექტების, სატიტულო სიების დამტკიცების წესის დადგენის შესახებ

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1973 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ობიექტების მიხედვით მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტების, სატიტულო სიების დამტკიცების თანდართული წესები.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 დეკემბრის № 1809 გ განკარგულების მე-5 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 21 ივლისი, № 398

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ობიექტების მიხედვით მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტების, სატიტულო სიების დამტკიცებისა

I. მშენებლობათა ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებსა და სატიტულო სიებს ამტკიცებენ:

საკოლმეურნეო მშენებლობის იმ ობიექტებისას, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა:

ა) 100 ათას მანეთამდე — კოლმეურნეობათა გამგეობანი;

ბ) 100 ათასი მანეთიდან 500 ათას მანეთამდე — კოლმეურნეობათა გამგეობანი სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებთან შეთანხმებით;

გ) 500 ათასი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე — კოლმეურნეობათა გამგეობანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შემავალი რაიონებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ან სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოსთან შეთანხმებით;

დ) 3 მილიონი მანეთი და მეტი — კოლმეურნეობათა გამგეობანი და ათანხმებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგენით.

საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის იმ ობიექტებისას, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა:

ა) 500 ათას მანეთამდე — საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები;

ბ) 500 ათასი მანეთიდან 1 მილიონ მანეთამდე — საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებთან და საქკოლმეურნმშენთან შეთანხმებით, დაქვემდებარების მიხედვით;

გ) 1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე — საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან" შეთანხმებით დაქვემდებარების მიხედვით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის) შემადგენლობაში შემავალი რაიონებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოსთან) ან საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შესაბამის გაერთიანებასთან შეთანხმებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 3 მილიონი მანეთი და მეტი — საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები და ათანხმებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ წარდგენით, დაქვემდებარების მიხედვით.

II. საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს ამტკიცებენ:

ა) როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 100 ათას მანეთამდეა — კოლმეურნეობათა გამგეობანი და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები;

ბ) როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 100 ათასი მანეთიდან 1 მილიონ მანეთამდეა — კოლმეურნეობათა გამგეობანი და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებთან შეთანხმებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის) შემადგენლობაში შემავალი რაიონებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოსთან) ან საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შესაბამის გაერთიანებასთან შეთანხმებით;

გ) როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა — კოლმეურნეობათა გამგეობანი და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან“ შეთანხმებით, დაქვემდებარების მიხედვით.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მიხედვით საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს, როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა, ათანხმებენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან;

დ) როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთი და მეტია — კოლმეურნეობათა გამგეობანი და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები და ათანხმებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ წარდგენით, დაქვემდებარების მიხედვით.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მიხედვით საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს, როცა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთი და მეტია, ათანხმებენ აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ობიექტების მიხედვით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას ახორციელებენ:

ა) როცა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 500 ათას მანეთამდეა — საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოები და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები და „საქკოლმეურნმშენი“ დაქვემდებარების მიხედვით;

ბ) როცა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 500 ათასი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“ დაქვემდებარების მიხედვით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის) შემადგენლობაში შემავალი რაიონებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო) ან საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შესაბამისი გაერთიანება;

გ) როცა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთი და მეტია — საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

72 რძის შესყიდვის ფასების შესახებ

დასამზადებელი რძის ხარისხის სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1973 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი რძის შესყიდვის ფასები, 13264 — 70 სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული რძის ხარისხების მიხედვით ანგარიშსწორებისათვის, № 1 ცვლილებით შემდეგი ოდენობით (მანეთი ტონაში):

I ხარისხი — 246
II ხარისხი — 230
უხარისხო — 214

პირველი ხარისხის ბაზისური ცხიმიანობის გაცივებული რძისათვის, რომლის ტემპერატურა მიღების მომენტში ცელსიუსით + 10 გრადუსს არ აღემატება, დამატებით გაიცემა ფასნამატი ტონაში 5 მანეთის ოდენობით.

2. მოსახლეობისაგან რძის ხარისხის მიხედვით მიღებისას ანაზღაურება წარმოებს ამ დადგენილების I პუნქტით დაწესებულ ფასებში. იმ შემთხვევებში, როცა რძე მოსახლეობისაგან მიიღება ხარისხის განუსაზღვრელად, იგი ანაზღაურდება მეორე ხარისხის რძის ფასად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 ოქტომბრის № 598 დადგენილების ის ნაწილი, რომ მერძევეობის კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და რძის მრეწველობის საწარმოები აღიჭურვოს მოწყობილობით, რეაქტივებითა და სხვა იმ მასალებით, რაც საჭიროა 1973-1975 წლებში 13264—70 სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით რძის მიღებაზე გადასასვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 24 ივლისი, № 402.

73 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელებული ფაუნის ზოგიერთი, იშვიათი სახეობის შენარჩუნებისა და მათი გამრავლებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის წინადადება, რომ სახელმწიფო დაცვას დაექვემდებაროს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ფაუნის ზოგიერთი იშვიათი სახეობა, და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების მეექვსე დანართით დამტკიცებულ ფაუნის სახეობებს, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან:

კავკასიის შურთხი, კავკასიის როჭო, წითელყელა ბატი, კავკასიის შევარდენი, ხმელთაშუა ზღვის შევარდენი, მარჯანი, ჩვეულებრივი კირკიტა, ველის კირკიტა, ჩვეულებრივი ქორცქვიტა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 ივლისი, № 408.

74 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა ღ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„135. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტებს და განლაგებულნი არიან ამ ინსტიტუტების ტერიტორიებზე".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 ივლისი, № 409.

75 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 მაისის № 308-35 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 28 ივლისი, № 412.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 28 ივლისის № 412 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო არის სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩამოსულ უცხოელთა ტურიზმისა და საქართველოს სს რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების ტურიზმისადმი და პასუხისმგებლობა ეკისრება მისი მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩამოსულ უცხოელთა ტურიზმისა და საქართველოს სს რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების ტურიზმის საკითხებზე, უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი იმისადმი, რომ ამ დირექტივებს ასრულებდნენ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს განყოფილებანი და სააგენტოები, რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებანი და ორგანიზაციები;

— უზრუნველყოს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების ფართო პოპულარიზაცია უცხოელ ტურისტთა შორის;

— განახორციელოს დადგენილი წესით საერთაშორისო ურთიერთობა ტურიზმის დარგში;

— შეასრულოს საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელთა ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების ამოცანები, უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვა, საგეგმო დავალებათა შესრულება, კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება, უცხოელ ტურისტთა მისაღებად და მოსამსახურებლად ახალი ობიექტების მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება;

— განახორციელოს ღონისძიებანი ტურიზმის ეკონომიური ეფექტიანობის ასამაღლებლად;

— კოორდინაცია გაუწიოს იმ სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც დაკავშირებული არიან რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტთა მიღება-მომსახურებასთან და საზღვარგარეთ საბჭოთა ტურისტების გამგზავრებასთან;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის, ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაუროს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— გააუმჯობესოს საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შეუქმნას მათ შრომის საჭირო პირობები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო მასზე დაკისრებულ ამოცანებს ასრულებს უშუალოდ თვითონ და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს განყოფილებებისა და სააგენტოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განსაზღვრავს დადგენილი წესით საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელთა ტურიზმისა და საქართველოს სს რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების ტურიზმის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

ბ) აწყობს და კონტროლს უწევს უცხოელ ტურისტთა მიღებას და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს განყოფილებებში, სააგენტოებში, სამმართველოსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სასტუმროებში, რესტორანებში, ავტომეურნეობებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

გ) კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირში უცხოელ ტურისტთა მიღებისა და მომსახურების წესების შესრულებას, რაც სავალდებულოა უცხოელ ტურისტთა მომსახურე ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის;

დ) შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობას იღებს იმ საერთაშორისო ღონისძიებათა (კონგრესების, სიმპოზიუმების, გამოფენების, კულტურული, სპორტული და

სხვა ღონისძიებების) მომსახურების ორგანიზაციაში, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეწყობა;

ე) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს საქართველოს სსრ მთავრობისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს განსახილველად წინადადებებს იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ ბუნებრივ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა ბაზაზე გაფართოვდეს უცხოეთის ტურიზმის რაიონები;

ვ) უზრუნველყოფს მშენებარე ობიექტებისა და მოქმედი საწარმო-ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

ზ) სდებს ხელშეკრულებებს სასტუმროების, მოტოოტელების, კემპინგებისა და უცხოელ ტურისტთა მომსახურების სხვა ობიექტების მშენებლობის შესახებ და აფინანსებს ამ სამუშაოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს მიერ გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში, კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ როგორ ასრულებენ საიჯარო ორგანიზაციები სასტუმროების, მოტოოტელების, კემპინგების და სხვა ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

თ) ამზადებს და შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს განსახილველად წინადადებანი სასტუმროების, მოტოოტელებისა და კემპინგების, რესტორანებისა და სხვა იმ საწარმოების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც უცხოელ ტურისტებს ემსახურებიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ი) კონტროლს უწევს უცხოეთის ვალუტით სუვენირების ვაჭრობის და უცხოელი ტურისტებისათვის ფასიანი დამატებითი მომსახურების ორგანიზაციას, ამუშავებს წინადადებებს ამ საქმის გაუმჯობესებისათვის;

კ) შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადებისათვის, რათა უზრუნველყოს საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით;

ლ) ეწევა დადგენილი წესის შესაბამისად სამმართველოს აპარატის კადრების შერჩევას, განაწილებას და აღზრდას, ნიშნავს და ათავისუფლებს დაკავებული თანამდებობიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს განყოფილებების, სააგენტოების, სასტუმროების, რესტორანებისა და ამ სისტემის სხვა საწარმოებისა და სამსახურების მუშაკებს, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ნომენკლატურაში, აგრეთვე მთავარი სამმართველოს განსახილველად შეაქვს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს ნომენკლატურაში შემავალი მუშაკების დანიშვნისა და დათხოვნის შესახებ;

მ) უზრუნველყოფს საექსკურსიო-საინფორმაციო მუშაობის მოწყობას უცხოეთის ტურისტებთან, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ამ

საქმის გასაუმჯობესებლად, გამოსცემს მეთოდიკურ დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ცნობარებს საექსკურსიო-საინფორმაციო მუშაობის დარგში;

ნ) რეკლამას უწევს საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმს და საზღვარგარეთ საბჭოთა ტურიზმს, გამოსცემს სარეკლამო პროსპექტებს, ბიულეტენებს, მეგზურებსა და სხვა სარეკლამო პროდუქციას, უშვებს სარეკლამო კინოფილმებს, მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში;

ო) შეიმუშავებს წინადადებებს თავისი სისტემის განყოფილებების, საგენტოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მმართველობის აპარატის სრულყოფის, გაიაფებისა და გამარტივებისათვის;

პ) უზრუნველყოფს უცხოეთის ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაციონალურ გამოყენებას, უცხოეთის ტურიზმის ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებას, რესპუბლიკაში ჩამოსულ უცხოელ ტურისტთა და საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა ტურისტების მომსახურების გაუმჯობესებას; ახორციელებს ღონისძიებებს საწარმოთა რენტაბელობის ასამაღლებლად;

ჟ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ეწევა მუშაობას უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს სასტუმროების, რესტორანების, ავტომეურნეობებისა და სხვა საწარმოების კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად, რათა ვადამდე შეასრულონ სახელმწიფო გეგმა და შემდგომ აამაღლონ რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტთა მომსახურების დონე;

რ) დადგენილი წესით წარადგენს საუკეთესო მუშაკებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად და იყენებს წახალისების სხვა ღონისძიებებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსების, კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ზოგადი დებულებით სსრ კავშირის სამინისტროების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს დადგენილი წესით შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოში თავისი წინადადებანი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნისა, რეორგანიზაციისა ან ლიკვიდაციის საკითხებზე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამმართველოს უფროსის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს სამმართველოს უფროსი.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე) და სამმართველოს უფროსის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამმართველოს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს წინაშე იმ ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, რომლებიც აკისრია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს, განსაზღვრავს სამმართველოს უფროსის მოადგილეებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მათ მიერ საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმის განვითარების ამოცანების შესრულებისა და სამმართველოს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამმართველოს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, ამოწმებს მათს შესრულებას.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩამოსულ უცხოელთა ტურიზმისა და საქართველოდან საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების ტურიზმის განვითარების, სამმართველოს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების ძირითად საკითხებს, განიხილავს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამმართველოს განყოფილებების უფროსების, უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს განყოფილებების, სააგენტოებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიშებს და სხვა საკითხებს, რომლებიც სამმართველოს კომპეტენციაში შედის.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება სამმართველოს უფროსის ბრძანებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში სამმართველოს უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს სა-

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩამომსვლელ უცხოელთა ტურიზმისა და საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების ტურიზმის დარგში დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციის გასაწევად, უცხოეთისა და საბჭოთა ტურიზმის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, უცხოეთისა და საბჭოთა ტურიზმის განვითარების განსახილველ წინადადებებზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოსთან იქმნება საბჭო, რომელშიც შედიან რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა რიცხოვნობასა და საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამმართველოს განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების დებულებებს ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76 ძვირფასი ლითონების ხარჯვისა და შენახვის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა გამოავლინეს ფაქტები, როცა ცალკეულ საწარმოებში ადიდებდნენ ვერცხლის ხარჯვის ნორმებს წარმოქმნილი ნამეტის შემდგომი დატაცების მიზნით, აგრეთვე დაადგინეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში მომუშავე ოსტატ-იუველირთა კერძო მეწარმეობრივი საქმიანობის შემთხვევები და ბოროტმოქმედებანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტომატოლოგიურ დაწესებულებებში — ოქროსაგან კბილის პროთეზების დამზადებისას.

ძვირფასი ლითონების ხარჯვასა და შენახვაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დირექტორებს, სადაც ძვირფასი ლითონები გამოიყენება:

ა) უმკაცრესი კონტროლი დაუწესონ ძვირფასი ლითონების სწორ ხარჯვას მათს საქვეუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ბ) გულდასმით შეარჩიონ სპეციალისტთა კადრები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ძვირფასი ლითონების გადამუშავებასა და შენახვასთან;

გ) უზრუნველყონ რეგულარული კომპლექსური რევიზიების, შემოწმებისა და ინვენტარიზაციების მოწყობა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც ძვირფასი ლითონები გამოიყენება.

2. აეკრძალოთ ექიმ-სტომატოლოგებს და ტექნიკოს-პროთეზისტებს, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან, ძვირფასი ლითონებისაგან კბილის პროთეზების დამზადება და ამასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის შესრულება.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გააძლიერონ კონტროლი იმ ექიმ-სტომატოლოგებისა და ტექნიკოს-პროთეზისტების მუშაობისადმი, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან, და მათ მიერ ძვირფასი ლითონისაგან კბილის პროთეზების დამზადების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში მკაცრად დასაჯონ დამნაშავე პირნი.

დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოამზადოს წინადადებანი აღნიშნული ქმედობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 აგვისტო, № 418.

77 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გიორგი კონსტანტინეს ძე გედევანიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოში საინჟინრო განათლების ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გიორგი კონსტანტინეს ძე გედევანიშვილის დამსახურების აღსანიშნავად და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაწესდეს მისი სახელობის ერთი სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდიდან, რომელიც დაენიშნება მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტს.

სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს 60 მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი 1972 წ. 3 აგვისტო № 419

78 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გიორგი დავითის ძე გოცირიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფესორ გიორგი დავითის ძე გოცირიძის დამსახურების აღსანიშნავად და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაწესდეს მისი სახელობის ერთი სტიპენდია, ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდიდან, რომელიც დაენიშნება მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტს.

სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს 60 მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 აგვისტო, № 420.

79 საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში მოსავლის აღების სამუშაოებზე დასაქმებული ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და სხვა მუშაკებისათვის 1972 წელს მარცვლის მიცემის ნორმებისა და წესის შესახებ

მოსავლის მჭიდრო ვადაში და უდანაკარგოდ აღების სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად მოწყობის, აგრეთვე მოსავლის აღების სამუშაოებზე დასაქმებული ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და სხვა მუშაკების წახალისების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს მისცენ:

ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და კომბაინერებს, რომლებიც მუშაობენ კომბაინებზე მარცვლოვანი და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების, სათესლე მრავალწლიანი ბალახებისა და სასილოსე კულტურების მოსავლის აღებაზე, მეურნეობაში დაწესებული სეზონური ნორმის შესრულებისათვის, კარგი ხარისხის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისას — 3 ცენტნერი მარცვალი უსასყიდლოდ;

კომბაინ-აგრეგატების სხვა მუშაკებს — მარცვალი: ტრაქტორზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეს — 80 პროცენტი, კომბაინერის თანაშემწეს და შოფერს — 70 პროცენტი, ხოლო თივის დამბულულებელს — 50 პროცენტი კომბაინზე მომუშავე კომბაინერისათვის დარიცხული მარცვლის რაოდენობისა;

ტრაქტორისტ-მემანქანეებს, რომლებიც მუშაობენ სალეწელებით პურეულის ღვარეულად აღებაზე, მასობრივი მოსავლის აღების პირველ 5 დღეში — 0,5 კილოგრამი მარცვალი, ხოლო ბარდის თიბვისას — 1,5 კილოგრამი მარცვალი ყოველ მოსავალაღებულ ჰექტარზე.

ტრაქტორისტ-მემანქანეების, კომბაინერებისა და სხვა მუშაკების სურვილით ნატურალური ანაზღაურება შეიძლება შეიცვალოს ფულადი ანაზღაურებით და მიეცეს მათ კუთვნილი მარცვლის ღირებულება სტახდარტული ფასების მიხედვით.

2. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს გამოიყენონ წახალისების ღონისძიებანი, რაც ამ დადგენილებით არის დაწესებული საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 აგვისტო, № 422.

80 საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შესახებ, შეთანხმებული სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 აგვისტო, № 426.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 7 აგვისტოს № 426
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისადმი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსა და რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოებისადმი, ეწევა მუშაობას საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციის სისტემატიზაციისათვის და ამზადებს წინადადებებს, ახორციელებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდურ ხელმძღვანელობას, მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტების საქმეში, ხელმძღვანელობს ნოტარიატს, სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებს, აგრეთვე ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობისა და რესპუბლიკის ადვოკატურისადმი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებლობა აკისრია პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე სასამართლო ორგანოების მუშაობის ორგანიზაციის მდგომარეობისათვის, სამინისტროს სისტემაში შემავალი იუსტიციის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება, დაიცვას სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების უფლებანი და კანონიერი ინტერესები, სრულყოს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად საქმიანობა დამნაშავეობის წინააღმდეგ და იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად გამოყენებულ ბრძოლაში, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულობათა და სხვა სახის სამართალდარღვევათა ჩადენას;

უზრუნველყოს ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სასამართლოებისადმი, აამაღლოს ამ მუშაობის დონე, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოს ამოცანების განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპების განუხრელი დაცვის პირობებში;

სისტემაში მოიყვანოს საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაცია და მოამზადოს წინადადებანი, ყოველნაირად შეუწყოს ხელი კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად;

სრულყოს ნოტარიატის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების, ადვოკატურის, სასამართლო-საექსპერტო და სხვა მისი საქვეუწყებო იუსტიციის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობა;

სრულყოს სამართლებრივი მუშაობა სახალხო მეურნეობაში იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებაზე, გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვა, შემდგომ განმტკიცდეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, განუხრელად იქნეს დაცული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების უფლებანი და კანონიერი ინტერესები;

მოაწყოს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა და კანონმდებლობის განმარტება მოსახლეობაში;

ხელი შეუწყოს სამართლის მეცნიერების განვითარებას და მისი მიღწევების გამოყენებას საქართველოს სსრ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში;

უზრუნველყოს სამინისტროს დაწესებულებანი და ორგანიზაციები, სასამართლო ორგანოები კვალიფიციური კადრებით, მოაწყოს აღნიშნული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ორგანოების კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, უნარიანად შეუხამოს ერთმანეთს ძველი გამოცდილი კადრები და ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკები, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების საუკეთესო გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდები, რომლებიც კარგად გამოიჩენენ თავს მუშაობაში.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის მისთვის მიჩენილ დარგს, როგორც წესი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების მეშვეობით, და უშუალოდ მართავს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება, ნოტარიატი, საექსპერტო დაწესებულებანი და მათი საქვეუწყებო დაწესებულებანი და ორგანიზაციები ქმნიან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ერთიან სისტემას.

5. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს

სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სამინისტროს სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება სამინისტროს სისტემის ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და სასამართლოების ორგანიზაციას და საქმიანობას, შეიმუშავებს წინადადებებს ამ კანონმდებლობის სრულყოფისათვის და შეაქვს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

6. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოების ორგანიზაციის საკითხებზე (დისლოკაცია, სტრუქტურა, შტატები), მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების მოწყობის შესახებ; ხელმძღვანელობს ამომრჩეველთა წინაშე სახალხო მოსამართლეების ანგარიშგების მოწყობას;

ბ) ამოწმებს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსა და რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას, ისმენს ამ საკითხებზე სასამართლოთა თავმჯდომარეების მოხსენებებს და იღებს ზომებს მისი გაუმჯობესებისათვის; სწავლობს და ავრცელებს მუშაობის დადებითს გამოცდილებას; უზრუნველყოფს საჭირო პირობების შექმნას მართლმსაჯულების განხორციელებისათვის;

გ) სასამართლოთა საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით სწავლობს და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ათანხმებს ამ მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან და იყენებს განზოგადების შედეგებს სასამართლოთა მუშაობის ორგანიზაციაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) ამოწმებს, თუ როგორ არის დაყენებული სასამართლოების მუშაობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მასალების განხილვის საქმეში და იღებს ზომებს ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ე) აწყობს მუშაობას სასამართლო სტატისტიკის წარმოებისათვის და იყენებს მის მონაცემებს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, რათა განხორციელდეს მართლმსაჯულება და მომზადდეს წინადადებანი კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ;

ვ) აწყობს სოციოლოგიურ გამოკვლევებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, ათანხმებს ამ მუშაობას საქართველოს სსრ პროკურატურასთან, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან;

ზ) ახორციელებს ხელმძღვანელობას და კონტროლს სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების, განჩინებების და დადგენილებების შესრულებისადმი, სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე ქონებრივი სახდელის თაობაზე განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების, აგრეთვე სხვა ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისადმი, რომელთა შესრულება ეკისრებათ სასამართლო აღმასრულებლებს;

უწევს სამართლებრივ დახმარებას ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან ბრძოლას სამართალდარღვევათა წინააღმდეგ;

თ) ეწევა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მუშაობას საქართველოს სსრ კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციისათვის, ამზადებს წინადადებებს კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად; ადგენს და გამოსცემს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულს და საქართველოს სსრ კოდექსებს;

ი) ამზადებს ზემდგომი ორგანოების დავალებით და თავისი ინიციატივით საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტებს, გამოაქვს იურიდიული დასკვნები საქართველოს სსრ მთავრობის განსახილველად შეტანილი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტების პროექტების გამო;

კ) ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი, ეცნობა ამ მუშაობის მდგომარეობას სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, მოისმენს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციებს სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ; შეიმუშავებს და იძლევა მეთოდურ მითითებებს და რეკომენდაციებს სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

სწავლობს და განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის საქმის დაყენების პრაქტიკას, ავრცელებს იურიდიული განყოფილებებისა და იურისკონსულტების მუშაობის დადებით გამოცდილებას, იღებს ზომებს ამ განყოფილებათა (იურისკონსულტების) მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ლ) ახორციელებს კადრების შერჩევასა და განაწილებას სამინისტროს სისტემაში, ხელმძღვანელობს კადრებთან მუშაობას სასამართლოებში, საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ეწევა მუშაობას, რათა იუსტიციის და სასამართლო ორგანოების კადრები აღზარდოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით;

აწყობს იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების კადრების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

დადგენილი წესით აჯილდოებს ამ ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს;

მ) მონაწილეობს რესპუბლიკაში იურიდიული კადრების მომზადების სახელმწიფო გეგმების, იურიდიული სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმების პროექტების შემუშავებაში, აგრეთვე ამ სპეციალისტთა განაწილებაში;

ნ) მონაწილეობს იმ იურიდიული ლიტერატურის გამოცემის გეგმების შემუშავებაში, რომელიც რესპუბლიკის გამომცემლობებმა უნდა გამოუშვან, იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოს სასამართლოები, საქვეუწყებო დაწესებულებანი და ორგანიზაციები საკანონმდებლო მასალებით;

ო) აწყობს მეცნიერულ კვლევას კანონმდებლობისა და სასამართლო ექსპერტიზის სრულყოფის დარგში;

კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად იურიდიული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობას, აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, თათბირებსა და სიმპოზიუმებს სამართლის მეცნიერების განვითარების საკითხებზე;

პ) მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას მოსახლეობას შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის, ეცნობა ამ მუშაობის მდგომარეობას რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კოორდინაციას უწევს სამართლებრივი პროპაგანდის დარგში მათი მუშაობის გეგმებს და იძლევა საჭირო მეთოდურ მითითებებს და რეკომენდაციებს;

ჟ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს ადვოკატურას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით;

განსაზღვრავს იმ იურიდიული დახმარების ორგანიზაციის წესს, რომელსაც ადვოკატები უწევენ მოსახლეობას, საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს;

რ) აწყობს საქართველოს სსრ ნოტარიატის დაწესებულებათა მუშაობას, ამოწმებს მათს საქმიანობას და იძლევა მითითებებს მისი გაუმჯობესებისათვის;

ს) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, ამოწმებს მათს მუშაობას და იძლევა მითითებებს მისი გაუმჯობესებისათვის.

7. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად შეიტანოს წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებათა მიცემის შესახებ.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევებში მიიღოს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების

სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სასწავლებლებისაგან დასკვნები საქართველოს სსრ იუსტიციის საჟინისტროს მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო აქტების, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა პროექტების და სხვა დოკუმენტების თაობაზე, აგრეთვე შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ჩაბას კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებულ მუშაობაში სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სასწავლებლების სპეციალისტები.

9. საქართველოს სსრ იუსტიციის საჟინისტრო თავის მუშაობას წარმართავს მისთვის სახელმძღვანელოდ მიჩენილი დარგის ყველა საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, ამასთან აწესებს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მათთვის მინდობილ სამუშაო უბანზე საქმის მდგომარეობისა და გარკვეული დავალებების შესრულებისათვის..

10. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ხიმძავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც შემდგომ შეაქვს ეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

11. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე საჟინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, საჟინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისათვის.

13. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საჟინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების, ადვოკატურის, სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებების, ნოტარიატის, სამინისტროს საქვეუწყებო იუსტიციის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, ხოლო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე — ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის სასამართლოებისათვის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოებისათვის, ამოწმებს ამ ბრძანებების, ინსტრუქციების, მითითებების შესრულებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მითითებები, ინსტრუქციები სანოტარო მოქმედებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის საკითხებზე სავალდებულოა სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

საჭიროების შემთხვევებში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს.

14. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს სამინისტროს საქმიანობის ძირითად საკითხებს, მოისმენს ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების, ნოტარიატის, ადვოკატურის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლების და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა მოხსენებებს სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების ანგარიშებს, მსჯელობს შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და აღზრდის საკითხებზე, განიხილავს საქართველოს სსრ მთავრობის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების პროექტებს, რომლებიც შემუშავებულია სამინისტროს მიერ, დასკვნებს ნორმატიული აქტების პროექტების გამო, კანონმდებლობის სისტემატიზაციის საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო იწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომ-

ლებზეც ისმენს და განიხილავს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის, კანონმდებლობის სრულყოფისა და კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე განიხილავს გაჩაღებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებასთან.

16. მეცნიერული რეკომენდაციებისა და სხვა იმ წინადადებების განსახილველად, რომლებიც ეხება იუსტიციის დაწესებულებათა ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესებას, აგრეთვე სხვა საკითხებს, — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შედიან თვალსაჩინო მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

იმ საკითხთა შემუშავების მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის გასაწევი საქმიანობის კოორდინაციასა და მეთოდურ ხელმძღვანელობასთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება საკოორდინაციო-მეთოდური საბჭო, რომელშიც შედიან შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს და საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობას, აგრეთვე მათს დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

17. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო აწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულ და გულდასმით განხილვას, იღწვის ამ წერილებში დასმული საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის, აგრეთვე იღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შეიმჩნევა სასამართლოების მუშაობაში, სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში.

18. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

19. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც ამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

---

81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, ამ დადგენილების № 3 დანართის მე-19 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) აიკრძალოს ნადირობა საქართველოს სსრ ქალაქების გარშემო: ქ. სოხუმისა — 5 კილომეტრი რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან; ქალაქების ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისისა — 3 კილომეტრი რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან; ქალაქების რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულისა — 2 კილომეტრი რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან; ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობათა მთელი ტერიტორიის ფარგლებში; კურორტების გაგრის, წყალტუბოს, ქობულეთისა — 2 კილომეტრი რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან, ხოლო ამ ფარგლებს იქით — 3 კილომეტრი რადიუსით აიკრძალოს ყოველგვარი ნადირობა, გარდა გადამფრენი ფრინველისა“.

ამ პუნქტებისაკენ მიმავალ ყველა გზაზე, ზემოაღნიშნულ მანძილებზე უნდა აღიმართოს ბოძები ანშლაგ — განცხადებებით მითითებული ტერიტორიის ფარგლებში ნადირობის აკრძალვის შესახებ.

ბოძების აღმართვა და განცხადებების გამოკვრა ევალება საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს — მონკავშირს.

ამ დადგენილების შესრულებისა და განცხადებების ჯეროვანი მოვლისადმი კონტროლის გაწევა ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 აგვისტო, № 427

82 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 609 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღებული ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების წესების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 609 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღებული ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების წესების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესებში:

მე-14 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელს ეძლევა:

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე — ტექნიკური პასპორტი, ტექნიკური პასპორტის ტალონი და სანომრე ნიშნები;

მოქალაქეთა კუთვნილ ავტომობილზე, მოტოციკლსა და მოტოროლერზე — ტექნიკური პასპორტი და სანომრე ნიშნები;

მოპედებზე — ტექნიკური პასპორტის ტალონი და სანომრე ნიშანი.

მსუბუქი ავტომობილის მისაბმელებზე გაიცემა მხოლოდ სანომრე ნიშანი, რის შესახებაც სათანადო ჩანაწერი შეიტანება ავტომობილის ტექნიკურ პასპორტში“;

23-ე პუნქტის პირველი აბზაცი შეივსოს სიტყვებით: „იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ წესების 14 პუნქტით“;

28-ე პუნქტის ბოლო აბზაცი შეივსოს სიტყვებით: „თუ ისინი გაცემული იყო“.

2. ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების წესების 10 პუნქტის პირველი აბზაციდან გამოირიცხოს სიტყვები: „თანდართული ტალონი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 10 აგვისტო, № 431

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) მოქმედ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო მაშველი სამსახური საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამგებლობიდან გადაეცა საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების დაქვემდებარებაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 16 ოქტომბრის № 566 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდებაში:

— პუნქტი 2:

„გ" ქვეპუნქტში სიტყვები „დახმარება გაუწიოს" შეიცვალოს სიტყვებით: „განახორციელოს ხელმძღვანელობა" და შემდეგ როგორც ტექსტშია;

„დ" ქვეპუნქტში სიტყვები „აქტიური მოხაწილეობა მიიღოს მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივად სწავლებაში" შეიცვალოს სიტყვებით: „მოაწყოს მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივად შესწავლა" და შემდეგ როგორც ტექსტშია;

„ე" ქვეპუნქტში სიტყვები „მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა კუთვნილი მცირე ზომის გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის განხორციელებაში" შეიცვალოს სიტყვებით: „მოაწყოს და უხელმძღვანელოს მოქალაქეთა კუთვნილი მცირე ზომის გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის განხორციელებას" და შემდეგ როგორც ტექსტშია;

„ვ" ქვეპუნქტში სიტყვები „მონაწილეობა მიიღოს სამაშველო ტექნიკის, საცურაო საშუალებათა ახალი ნიმუშების შექმნის, მაშველი სადგურების პროექტების შედგენის ორგანიზაციაში" შეიცვალოს სიტყვებით: „ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს სამაშველო ტექნიკის, საცურაო საშუალებათა ახალი ნიმუშების შექმნას, მაშველი სადგურების პროექტების შედგენას" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს წყალში მაშველ საზოგადოებას აქვს ალამი, ემბლემა, და ვიმპელი, საზოგადოების წევრებისათვის — სამკერდე ნიშანი, ხოლო მაშველი სამსახურის მუშაკებისათვის — ერთიანი ფორმა, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი".

შეივსოს წესდება შემდეგი შინაარსის 5ა პუნქტით:

„5ა. საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს უფლება აქვს შეიმუშაოს და დამტკიცოს საწევრო წიგნაკთა ნიმუშები, აგრეთვე დაუკვეთოს საწევრო მარკები და მოამარაგოს ამ წიგნაკებითა და მარკებით საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები";

პუნქტი 18:

„დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამტკიცებს წყალში მაშველი საზოგადოების კლუბების, საწარმოთა და სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციათა დებულებებსა და ინსტრუქციებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ე“ ქვეპუნქტი სიტყვა „გამოყენება“ შემდეგ შეივსოს სიტყვებით: „მაგ. შორის ფონდს საზოგადოების წევრთა დასაჯილდოებლად საზოგადოებაში აქტიური საქმიანობისა და მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის“;

26 პუნქტში სიტყვები „შრომის გეგმის ფარგლებში, რასაც“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „შრომის გეგმისა და ასიგნებათა ფარგლებში, რასაც“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

პუნქტი 36:

მეორე აბზაციდან გამოირიცხოს სიტყვები „და ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი“.

მესამე აბზაციდან გამოირიცხოს სიტყვები: „საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება გათავისუფლდნენ შესასვლელი და საწევრო შესატანების გადახდევინებისაგან“.

მეოთხე და მეხუთე აბზაცებს შორის დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საზოგადოების ცენტრალური საბჭო ქმნის საზოგადოების შემოსავლიდან საპრემიო ფონდს წყალში მაშველი საზოგადოების საბჭოს იმ მუშაკებისა და საზოგადოების აქტივისტების დასაჯილდოებლად, რომელთაც აქვთ მუშაობის მაღალი მაჩვენებლები“.

— 38 პუნქტს სიტყვების „რომლის გვერდების თანაფარდობაა 2:1“ შემდეგ დაემატოს მაჩვენებელი „(90:180)“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 15 აგვისტო, № 440.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84 საკონტეინერო ტვირთზიდვის განვითარების დამატებით ღონის ძიებათა შესახებ

საკონტეინერო ტვირთზიდვის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუმტკიცდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს უნივერსალური საავტომობილო კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის გეგმა 1972-1975 წლებისათვის 30 ათასი ტონის ოდენობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) შექმნას 1972 წელს ქ. თბილისში დამოუკიდებელი სატვირთავ-გადამტვირთავი პუნქტი, ხოლო ქალაქებში ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში — სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორები საკონტეინერო მოედნებით;

ბ) მოაწყოს 1973-1975 წლებში საკონტეინერო მოედნები ქალაქებში გორში, ცხინვალში, ხაშურში, სამტრედიაში, ფოთში, ახალციხესა და წნორში;

გ) დაამზადოს 1972-1975 წლებში ავტოშემკეთებელ საწარმოებში 1 და 3 ტონა ტვირთამწეობის 500 უნივერსალური საავტომობილო კონტეინერი;

დ) უზრუნველყოს საკონტეინერო მოედნების მშენებლობა ლიმიტების ხარჯზე, რომელიც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გამოეყოფა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებიდან;

ე) 1973 წლიდან მოაწყოს ცალობითი ტვირთის, პირველ რიგში წვრილ პარტიებად გასაგზავნი სახალხო მოხმარების საქონლისა და სამრეწველო ტვირთის უტარო გადაზიდვა კონტეინერებით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ და გადაწყვიტონ აღნიშნული ობიექტების მმართველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებათა და მუშაკთა ხელფასის ფონდის გადიდების საკითხი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1973 წლიდან ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 2-3 ავტოამწე და შავი ლითონების ნაგლინის დამატებითი ფონდი 70 ტონის ოდენობით უნივერსალური საავტომობილო კონტეინერების დასამზადებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ 1973 წლიდან ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის 3-5 ტონა ტვირთამწეობის 4-5 ავტოსატვირთელის გამოყოფა.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თითო ჰექტარი მიწა ქალაქებში სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში საკონტეინერო მოედნებიანი სატვირთო ავტოსადგურების ასაგებად.

7. გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტეინერო მოედნიანი სატვირთო ავტოსადგურის მშენებლობისათვის 2,5 ჰექტარი მიწა. ქ. თბილისის ტერიტორიის საზღვართან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 16 აგვისტო, № 441.

85 ლილოს სამრეწველო რაიონის ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ

„ლილოს სამრეწველო რაიონის კომპლექსური განვითარებისა და მისი ადმინისტრაციული დაქვემდებარების შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 ივლისის № 383 დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არსებული ლილოს სამრეწველო რაიონი ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ამ დადგენილების დანართში აღწერილ საზღვრებში, საერთო ფართობით 2730 ჰექტარი, მის ფარგლებში შემავალ მიწის მოსარგებლეებითა და სავარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 18 აგვისტო, № 447.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
1972 წლის 18 აგვისტოს № 447
დადგენილების დანართი

საზღვრები

ლილოს სამრეწველო რაიონისა

დასავლეთიდან საზღვარი იწყება თეთრი ხევისა და სამგორის ზედა სარწყავი არხის გადაკვეთაზე, შემოუვლის სამგორის დასახლებას და ლილოს საბჭოთა მეურნეობის საზღვრით მიდის სამგორის ქვედა სარწყავ არხამდე, ამ არხის გაყოლებით ნავთის ხევის გადაკვეთამდე და ამ ხევით კახეთის გზატკეცილამდე, მიდის კახეთის გზატკეცილის გასწვრივ, კახეთის რკინიგზის გადაკვეთამდე. შემდეგ კი კახეთის რკინიგზის გაყოლებით ლოჭინოს ხევამდე, აღმოსავლეთიდან ტერიტორიის საზღვარი მიყვება ლოჭინოს ხევს მეფრინველეობის ფერმამდე, აქედან მიემართება სამგორის ქვედა სარწყავი არხის გასწვრივ და ჩადის მეფრინველეობის ფერმის ნაკვეთის დასავლეთით ფერმაში შესასვლელ გზამდე, უხვევს დასავლეთისაკენ, მიჰყვება ლილოს ხევამდე, ლილოს ხევის გასწვრივ ლოჭინოს ხევამდე, მიემართება ლოჭინოს ხევს თბილისი—ბაქოს რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე, გასდევს აღნიშნულ რკინიგზის ხაზს ნავთის ხევის გადაკვეთამდე, მიჰყვება ნავთის ხევს და შემდეგ ხრამმშენის დასახლების ჩრდილო-დასავლეთის გავლით, მიდის ორხევამდე და მიჰყვება ორხევს ფორაქაანთ ხევამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

86 „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითს რვაწლიან და საშუალო სკოლებთან მოსამზადებელი კლასების გახსნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 ოქტომბრის № 630 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 ოქტომბრის № 630 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითს, რვაწლიან, და საშუალო სკოლებთან მოსამზადებელი კლასების გახსნის შესახებ“ შეესაბამებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვას საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 6 წლის ასაკის ბავშვთათვის მოსამზადებელი კლასების გახსნის შესახებ (1969 წლის 16 ივნისის № ᲐᲨ-8342 წერილი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

აღნიშნული დადგენილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972-1975 წლების გეგმის პროექტებში გაითვალისწინონ მოსამზადებელი კლასების ქსელის შემდგომი გაფართოება რუსული ენის არმცოდნე ბავშვებისათვის იმ სკოლებთან, სადაც ბავშვთა სწავლება წარმოებს რუსულ ენაზე, აგრეთვე იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც ადგილობრივი პირობების გამო სკოლებში უნდა ისწავლონ არა მათს დედაენაზე.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 21 აგვისტო, № 448.

87 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1972 წ. 22 აგვისტო, № 449.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 22 აგვისტოს № 449
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს შესახებ

1. თბილისის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველო (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) იმყოფება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში და წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს.

— სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები სახელმწიფო და სამშენებლო ბანკის განყოფილებებში, მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება;

— თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

2. თბილქალაქმომარაგებაგასაღების ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომლის რაოდენობა აისახება სამმართველოს ბალანსში.

3. თბილქალაქმომარაგებაგასაღების მთავარი ამოცანებია:

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სისტემის ორგანიზაციების გეგმიანი და დროული მომარაგება მოწყობილობა-დანადგარებით, საშენი მასალებითა და სხვა მატერიალური ფასეულობებით;

— „საქმთავარმომარაგების“, „საქსოფლტექნიკის“ და სტატისტიკური სამმართველოს ნომენკლატურის პროდუქციაზე მომხმარებლებისაგან განაცხადების მიღება, კრებსითი განაცხადების შედგენა და მათი წარდგენა, გამოყოფილი ფონდების განაწილება აღმასკომის სისტემის ორგანიზაციებს შორის;

— წლის განმავლობაში ყველა სახის მატერიალური რესურსების დამატებით გამოყოფაზე მოთხოვნილების წარდგენის წინადადებების მომზადება, დამატებით გამოყოფილი პროდუქციის და აგრეთვე რეზერვების მომხმარებელთა შორის განაწილება;

— თბილისის საბჭოს აღმასკომის სისტემის ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების რეალიზაცია და ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარება.

4. თბილქალაქმომარაგებაგასაღება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელმძღვანელობს როგორც სამმართველოს, ისე აღმასკომის სისტემის ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მოწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმების სამუშაოებს და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— სისტემატურად ადევნებს თვალყურს პროდუქციის მოწოდების გეგმების და ვალდებულებების დროულ შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს სათანადო ზომებს;

— შეისწავლის დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით მათ მოთხოვნილებას აუცილებელი სახეობების პროდუქციაზე და რესურსების გაზრდის მიზნით ახორციელებს დეცენტრალიზებულ შემოზიდვას;

— განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ოპტიმალურ ფორმებს, დაადგენს, თუ რომელი პროდუქცია და რა რაოდენობით უნდა მიეწოდოს მათ გამოყოფილი ფონდების ფარგლებში საწყობის მეშვეობით თუ ტრანზიტად;

— გააფართოებს და განამტკიცებს პირდაპირ, რაციონალურ კავშირს საწარმოებთან და მომწოდებელ ორგანიზაციებთან სათანადო ხარისხის, საჭირო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციით მომხმარებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით;

— სისტემატურად ნერგავს მომარაგების საქმეში ეფექტურ სისტემებს და შრომის ორგანიზაციას, სრულყოფს მართვის ორგანიზაციულ ფორმებს;

— ყოველ კვარტალში მოახსენებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

— სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს გაანგარიშების საფუძველზე შედგენილი გეგმის შესაბამისად;

— საწარმოს ინტერესებისათვის უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგებს შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მინიმალური დანახარჯებით. მკაცრად იცავს მომჭირნეობის რეჟიმს, ამცირებს სამუშაოთა და მომსახურების თვითღირებულებას. ამაღლებს სამმართველოს რენტაბელობას;

— უზრუნველყოფს და სისტემატურად სრულყოფს შესრულებულ სამუშაოთა და მომსახურების მაღალ ხარისხს. შესაბამის ორგანოებში აყენებს საკითხს იმ მოწყობილობათა და მექანიზმების შეცვლის შესახებ, რომლებიც ვერ უპასუხებენ ტექნიკურ პირობებსა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს;

— განიხილავს მასალებისა და მოწყობილობების ხარჯვის ნორმებს იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელზედაც ადგენს განაცხადებს.

უზრუნველყოფს გამოუყენებელი მოწყობილობების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციას არსებული წესების შესაბამისად.

— გადაანაწილებს აუთვისებელ ფონდებს გეგმების ან მასალათა ასორტიმენტის ცვლილებების მიხედვით.

— ახორციელებს ძირითად საშუალებათა რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს დადგენილი წესით;

— ახორციელებს რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენების, სისტემატური გაუმჯობესების, დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციას, ატარებს ამ სამუშაოთა მექანიზაციას და სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შემცირების ღონისძიებებს;

— ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით დროულად ადგენს დასაბუთებულ განაცხადს ძირითადი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე;

— განმკარგულებელია თავისი ფინანსური რესურსების; უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას სახსრების ხარჯვასა და მათ მიზნობრივად გამოყენებაში, აგრეთვე დროულ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკის დაწესებულებებთან, მიმწოდებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

— აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ადგენს პერიოდულ და წლიურ კრებსითს ანგარიშებს და დადგენილ ვადებში უდგენს მათ შესაბამის ორგანოებს; ნერგავს აღრიცხვის ფორმებისა და გამოთვლითი სამუშაოების მოწინავე მეთოდებს;

გამუდმებით სრულყოფს თავის სტრუქტურას საწარმოს მართვის პროგრესული სქემის გამოყენების საფუძველზე. ეწევა მმართველობის ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას სამმართველოს საქმიანობაში თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით, აითვისებს და აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას და ნორმირებას. ქმნის მაღალმწარმოებლური მუშაობის პირობებს, აღწევს შრომის ნაყოფიერების მუდმივ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, შრომის დისციპლინის წესების დაცვას;

—ახორციელებს ღონისძიებებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესებისათვის, როგორც პირადი, ისე კოლექტივის შრომის შედეგით, ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯავს ხელფასის ფონდს და უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა დროულ ანგარიშსწორებას;

— სისტემატურად აუმჯობესებს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

5. თბილქალაქმომარაგებაგასაღება, საკონტროლო ციფრების საფუძველზე, ამუშავებს წლიურ გეგმებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით დადგენილი მაჩვენებლების შესაბამისად და დასამტკიცებლად უდგენს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

6. საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით სამმართველოს მონაწილეობით იხილავს და ამტკიცებს საგეგმო დავალებებს.

7. თბილქალაქმომარაგებაგასაღება;

— მისთვის დადგენილი საგეგმო მაჩვენებლების და მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ამუშავებს სამეურნეო და საფი-

ნანსო საქმიანობის წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებს, რომლებსაც ამტკიცებს სამმართველოს უფროსი;

—ახორციელებს ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით;

— იძენს მისი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელ მოწყობილობადანადგარებს და სხვა მატერიალურ ფასეულობებს;

— აღმასკომის მიერ დადგენილ საერთო ნორმატივის ფარგლებში განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივს ელემენტების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალება ხელს უწყობდეს მატერიალური და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას, ბრუნვადობის დაჩქარებას;

— სარგებლობს ბანკის კრედიტით და პასუხისმგებელია მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის;

— ბალანსიდან ჩამოწერს მორალურად მოძველებულ, გაცვეთილ და შემდგომი ხმარებისათვის უვარგის მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს, როცა მათი აღდგენა ეკონომიურად მიზანშეუწონელია, ხოლო რეალიზაცია შეუძლებელია. აგრეთვე შენობა-ნაგებობებს, რომლებიც აღებული იქნება ავარიულობის ან ახალი ობიექტის მშენებლობის დროს;

— შეიმუშავებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, აღმასკომის მიერ დამტკიცებულ საერთო ხელფასის ფონდის და ხარჯების ასიგნებათა ფარგლებში;

— ადგენს მუშათა ცალკეული ჯგუფებისათვის სანარდო, საგანაკვეთო, ან გამომუშავების შრომის ანაზღაურებას;

— ადგენს მაჩვენებლებს, პირობებს და რაოდენობას მუშათა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემირებისათვის დადგენილი ტიპობრივი დებულების შესაბამისად;

— შეიმუშავებს სტრუქტურასა და შტატს საწარმოს ტიპობრივი სტრუქტურისა და შტატის შესაბამისად.

8. თბილქალაქმომარაგებაგასაღებას სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია.

9. სამმართველოს უფროსის მოადგილეს და მთავარ ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს სამმართველოს უფროსის წარდგენით, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

10. სამმართველოს უფროსი, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით, ერთმმართველობის საფუძველზე ახორციელებს „სოციალისტურ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს“ დებულებიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობას და პასუხს აგებს საწარმოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის წარმოებაზე, საფინანსო გეგმების,

შესრულებაზე, სახელშეკრულებო, საფინანსო, შრომის და საწარმოო დისციპლინის დაცვაზე.

11. სამმართველოს უფროსი მინდობილობის გარეშე მოქმედებს სამმართველოს სახელით, ითვლება მის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს საწარმოს ქონებას და საშუალებებს კანონმდებლობის საფუძველზე.

12. სამმართველოს უფროსის მოადგილე თავის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს სამმართველოს სახელით, ითვლება სამმართველოს წარმომადგენლად სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, შეუძლია მოახდინოს სამეურნეო ოპერაციები და დადოს ხელშეკრულებები მინდობილობის გარეშე, აგრეთვე გასცეს მინდობილობა სამმართველოს თანამშრომლებზე.

13. წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე, ჩეკებზე, ვალდებულებებსა და სხვა ფულად დოკუმენტებზე ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე და მთავარი ბუღალტერი.

14. სამმართველოს ამოცანებისა და საქმიანობის განსახორციელებლად სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები სამმართველოსადმი და შეამოწმოს მათი შესრულება;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები, გამოიყენოს წახალისებისა და დასჯის ზომები;.

— გაატაროს ბანკში ყველა სახის საჭირო ოპერაციები სასესხო ოპერაციების ჩათვლით;

— წარადგინოს სარჩელი სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოებში;

— გასცეს სამმართველოს სახელით რწმუნებები და მინდობილობები სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების დასადებად, სამმართველოსათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობათა შესაძენად, საჭირო სამუშაოთა წარმოებაზე. სადგომის იჯარაზე, მომსახურებაზე;

— დაამტკიცოს და შეცვალოს სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა აღმასკომის მიერ ამ დანიშნულებით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში;

— დაამტკიცოს სტრუქტურა და შტატები საწარმოს ტიპობრივი სტრუქტურისა და შტატების შესაბამისად;

— დაამტკიცოს და შეცვალოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის დონე, თანამდებობრივი განაკვეთების სქემისა და საშტატო განრიგით დამტკიცებული საშუალო შესაბამისი ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— დაუდგინოს მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და სხვა სპეციალისტებს, ხელფასის დანამატი თანამდებობრივი განაკვეთის 30%-მდე ოდენობით ხელფასის გეგმიური ფონდის ფარგლებში, ამ მიზნით გეგმიური ფონდის 0,3%-ის გამოყენებით.

15. სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული შტატი, ხელფასები, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა საფინანსო

ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

16. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას აწარმოებს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაინტერესებულ ორგანიზაციათა ჩაბმით კომპლექსურად, წელიწადში ერთხელ.

17. თბილქალაქმომარაგებაგასაღების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით „სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოოს“ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

---

88 ვაშლაჯვარისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიების თბილისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება და გადაეცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს განაშენიანებისათვის გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 472.37 ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან:

— სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის სატყეო მეურნეობიდან — 350,03 ჰექტარი;

— სოფელ ვაშლაჯვარის საკარმიდამო მიწები — 15 ჰექტარი;

— დიღმის საბჭოთა მეურნეობის გამოუყენებელი მიწები (ხევები, კლდეები, გზები და რიყე) — 20,80 ჰექტარი;

— გადასაცემ ტერიტორიაზე მდებარე სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიწები — 84,87 ჰექტარი (ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის—17 ჰექტარი, გეოლოგიის საწარმოო სამმართველოსი — 0,80 ჰექტარი, ელექტროქვესადგურის — 0,83 ჰექტარი, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის — 2,24 ჰექტ., ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის — 15 ჰექტ. დოსაფის სასროლეთის — 11 ჰექტარი, მშენებლობის სამინისტროს მექანიზებული ბაზის — 8 ჰექტარი, ცეკავშირის ტარის საწყობის — 5 ჰექტარი, ლიფტის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს მეწყერული ლაბორატორიის და სხვების — 25 ჰექტარი);

— სოფ. ვაშლაჯვარის სასაფლაოსი — 2,50 ჰექტარი;

გადასაცემი ტერიტორიის საზღვარი იწყება მდინარე დიღმურასა და საქართველოს სამხედრო გზის (ახალი ხიდის) გადაკვეთასთან, გაჰყვება მდინარე დიღმურას დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ხიდიდან 1420 მეტრის სიგრძით, აქედან საზღვარი უხვევს სამხრეთის მიმართულებით და მიდის სწორი ხაზით 740 მეტრზე, შემდეგ საზღვარი მიჰყვება წყალგამყოფ ქედს და გადადის ფიზიოთერაპიის ინსტიტუტისათვის გამოყოფილი მიწების თავზე, აქედან საზღვარი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და გაჰყვება ქ. თბილისსა და თბილისის სატყეოს შორის არსებულ საზღვარს აღმოსავლეთის მიმართულებით გაგარინის ქუჩის გადაკვეთამდე, შემდეგ საზღვარი გაჰყვება გაგარინის ქუჩას და მის გაგრძელებაზე სამხედრო გზას, ზემო მხრიდან შემოუვლის მებაღეობისა და მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიას (ეს ინსტიტუტი რჩება გარდაბნის რაიონის დაქვემდებარებაში), მოიყოლებს ქალაქის საზღვრებში ვაშლაჯვარის დასახლებას და კვლავ უერთდება საქართველოს სამხედრო გზას, გაჰყვება მას მდინარე დიღმურას გადაკვეთამდე.

2. იმის გამო, რომ „ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულების მეოთხე მუხლის შესაბამისად, სოფელი ვაშლაჯვარი ამჟამად არის გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში, შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი სოფელი ვაშლაჯვარის და მომიჯნავე ტერიტორიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემისა და სოფელ ვაშლაჯვარის გაუქმების შესახებ.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ზემოაღნიშნული მიწების მიღება-ჩაბარება მოახდინონ თანდათანობით, მათი ათვისების კვალობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 24 აგვისტო, № 452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 за 1972 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/I-73 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 1035 უე 05700 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.